ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 11 იანვარი, 2021 №4 (8533) ფასი: 60 თეთრი

## „ქართული ოცნება“ ლობე-ყორეს ედება“

ლაშა ჩხარტიშვილი:
„ამ ხელისუფლების ოთხწლიან მმართველობასთან შეგუება ნიშნავს, რომ ვეგუებით შიმშილს, ვირუსს, სიკვდილს, უმუშევრობას, სილატაკეს და იმ უბედურებას, რომელიც დღეს ქვეყანაში ხდება“



გვ.4

# „უახლოეს დღეებში ხელისუფლებაში ცვლილებები იქნება“



გიგლა ბარამიძე:
„ივანიშვილი ნელ-ნელა აილებს ორიენტაციას, რომ გავლენის სფეროებს ჩამოსცილდეს“



გვ.2

## ვატო სურგულაძე: „200 ლარად იცხოვროს ფინანსთა მინისტრმა, ლადო კახაძემ და პიანისტმა ბოლქვაძემ“



გვ.2

„საქართველოში რამდენი კოვიდინფიცირებულია, არავინ იცის“

მამუკა გიორგაძე: „პოლიტელიტა დასავლელ პარტნიორებს საქართველოზე არასერიოზულ შთაბეჭდილებას უქმნის“

## „სააკაშვილი სხვა პოლიტიკურ ლიდერებს არ გაახარებს“



გვ.3

## „საქართველოში 9400 პატიმარია და ამნისტია ყველას უნდა შეეხოს“



გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „ბოლო ამნისტიიდან 8 წელი გავიდა. ნორმალური მთავრობა, ყოველ 4 წელიწადში, მცირემასშტაბიან ამნისტიის კანონს მაინც უნდა იღებდეს“



გვ.3

## გიორგი გუგავა: „ევროპელი სოციალისტები“ დაირქვეს, ეს იგივეა, ნიანგმა ოპერაში იმღეროს“

„რეჟიმის წინააღმდეგ ფრონტი ყველა მიმართულებით უნდა გავშალოთ, მათ შორის აქციებიც უნდა გავმართოთ“



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავეს

გვ.5

ISSN 1987-9385

5 ჩხოროწყუში მამის მკვლელობისთვის შვილი დააკავეს

5 „გიორგი ახლოურმა დანა ქალს ესროლა, მიშო ქალს გადაეფარა და დანა მას მოხვდა“ ახლოურების ტრაგედიის დეტალები

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 877 ფაქტი გამოავლინა

6 ჯო ბაიდენი: „ტრამპი ამერიკის სირცხვილია“

# „უახლოეს დღეებში ხელისუფლებაში ცვლილებები იქნება“

## გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილი ნელ-ნელა აიღებს ორიენტაციას, რომ გავლენის სფეროებს ჩამოსცილდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

**მოლაპარაკებების პროცესში გარკვეული კომპრომისი ოპოზიციისგანაც ხომ არ არის საჭირო და რა შეიძლება იყოს ეს? მოსალოდნელია თუ არა პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის დისტანცირება და რატომ თვლის, რომ ხელისუფლებაში უახლოეს პერიოდში ცვლილებები იქნება? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე საუბრობს.**

***– არის მზადება მოლაპარაკებების მორიგ რაუნდამდე ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ჯერ შორს ვართ აზრების დაახლოებამდე. გასაგებია, რომ „ოცნებამ“ უნდა გადადგას ნაბიჯები, მაგრამ ოპოზიციამაც ხომ არ უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯები? თქვენ ყოფილი დიპლომატი ხართ და თუ შეიძლება ამ ჭრილშიც შეაფასეთ.***

– საერთოდ, როდესაც მოლაპარაკებებზეა საუბარი, მაშინ შემხვედრი ნაბიჯები ორივე მხრიდან უნდა იყოს გადადგმული. ორივე მხრიდან უნდა იყოს კონსენსუსი და ვარირება. ეს არის დიპლომატია და არა ის, რომ მჯიღი ირტყა, რომ მე ვარ, მართალი ვარ და ეს უნდა გავიტანოო. ასე არ ხდება, მათ შორის, არც პოლიტიკაში. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში ბევრი რამე ცუდი ხდება უკვე ათწლეულებია, მაგრამ არ უნდა გავიმეოროთ.

რა თქმა უნდა, რაღაცა ოპოზიციამაც უნდა დათმოს, მაგრამ საერთოდ მოლაპარაკებებში მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას – პირდაპირაც, მორალურადაც და სხვა მხრივაც ხელისუფლებისკენ არის მიმართული. იმიტომ, რომ ყველა ბერკეტი მის ხელშია, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. ამიტომ მოეთხოვება ცოტა უფრო მეტი ამ მოლაპარაკებების დროს ხელისუფლებას.

თუმცა, არის საკითხები, რომელშიც შესაძლებელია, რომ ოპოზიცია გაყვეს ხელისუფლებას და გავყვეთ. არის საკითხების ნაწილი, რომელზეც



ეს ვერ გამოვა. ეს არის ვადამდელი არჩევნები, მის არჩატარებაზე საუბარი ვერ იქნება.

***– ვადამდელის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით თუ შეიძლება?***

– ვინც ჩვენგან ესწრება მოლაპარაკებებს, ყოველთვის ვეუბნები ხოლმე, რომ რაღაც საკითხებზე იყოს საუბარი, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ხელისუფლებაში ბოლო პერიოდში ცვლილებები მოხდება. ამიტომ, სულაც არ მიმაჩნია საჩქაროდ მეხუთე რაუნდის გამართვა.

***– რა ცვლილებებზე მიანიშნებთ?***

– მე ვაკეთებ პოლიტიკურ ანალიზს და ვგრძნობ, რომ უახლოეს ხანებში რაღაცები უნდა მოხდეს. ეს იქნება სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკაში. ვნახოთ, ახდება თუ არა ჩემი ვარაუდი.

***– თქვენ საკმაოდ კარგი კონტაქტები გაქვთ და გარკვეულ ინფორმაციებს ფლობთ ხოლმე. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია „ოცნების“ შიგნით მიმდინარე პროცესებზე? საუბარია, რომ შესაძლოა ივანიშვილი საერთოდ ჩამოშორდეს პოლიტიკას, ან სხვა ოპოზიციურ ძალას დაეხმაროს. რას იტყვით ამაზე?***

– მოდით ასე ვთქვათ, კონტაქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ოღონდ პრინციპები არ უნდა შეცვალო. კონტაქტები, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ მე ვეყრდნობი ხოლმე ჩემს დასკვნებს და ანალიზს, ვეყრდნობი ჩემ მიერ შეგროვებულ მასალას და ინფორმაციას და მერე ვაკეთებ ხოლმე განცხადებებს.

არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ვიმეორებ, რომ ცვლილებები იქნება. ჯერ არ მომხდარა ისე, რომ ჩემი ნათქვამი არ გამართლებულიყოს და ის ყოველთვის ამხდარა. თუკი ეს ცვლილებები იქნება, მაშინ უკეთესია, რომ მას მერე გაიმართოს ეს მეხუთე რაუნდი.

***– თქვენი შეფასებით, ივანიშვილის როლი რა იქნება ამ პროცესში – დარჩება პოლიტიკაში თუ ამ პროცესისგან მის დისტანცირებას ან მთლიანად ჩამოშორებას უნდა ველოდოთ?***

– ძნელია ამის თქმა რა და როგორ იქნება... იმდენად დიდია მისი გავლენა ყველაფერზე. სასამართლოდან დაწყებული, აღმასრულებელი სტრუქტურები, პარლამენტი, პარტია, მაგრამ ჩემი გათვლებით ის ნელ-ნელა აიღებს ორიენტაციას, რომ ჩამოსცილდეს ამ გავლენის სფეროებს, ამას ვვარაუდობ.

***– მაშინ რატომ არ ჩამოშორდა ამას, როცა ყველაზე კარგი შესაძლებლობა იყო – არჩევნების სამართლიანად ჩატარება და პრინციპში ამით ისტორიულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რატომ არ გააკეთა ეს?***

– მაშინ „ქართული ოცნება“ ვერ ავიდოდა ამდენ პროცენტზე. იქ რომ არ ყოფილი ამომრჩეველზე ზეწოლა და სხვა. ეს მას უნდა ვკითხოთ. ხომ ვიცით, რომ უსერიოზულესი დარღვევები იყო და ამას საერთაშორისო ორგანიზაციებიც ადასტურებენ. რა თქმა უნდა, მას შეეძლო ჩაეტარებინა სამართლიანი არჩევნები და ერთპარტიული პარლამენტი კი არ მიგვეღო, არამედ მრავალპარტიული, ის, რასაც საზოგადოება ითხოვდა. არ გამოვიდა ასე და იმიტომაც არის, რომ დღეს დგას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნის საკითხი. კარგი კი არ არის ქვეყანაში ხელახალი არჩევნები, მაგრამ როდესაც იძულებული ხარ, სხვა რა გზაა?!

***– თქვენი დაკვირვებით „ოცნების“ მხრიდან მიმდინარეობს თუ არა რიგ პოლიტიკურ პარტიებთან პოლიტიკური ვაჭრობა, რომ ისინიც შევიდნენ პარლამენტში რამდენიმე დეპუტატის მსგავსად?***

– მე ფაქტები არ მაქვს, მაგრამ მგონია, რომ მიდის. დარწმუნებული ვარ, რომ იქნება ასეთი მოლაპარაკებები თუ შეთავაზებები. რაღაცა ფორმით იქნება.

***– დაითანხმებენ ვინმეს?***

– იმდენი რამე ხდება ქართულ პოლიტიკაში, რომ არაფერი არ არის გამორიცხული. მე არ მინდა, რომ ვინმე დაითანხმონ მათგან, ვინც მანდატები აიღო. ქართულ პოლიტიკაში ზოგიერთი პოლიტიკოსი დილით ერთს ამბობს, შუადღით მეორეს და საღამოს მესამეს, თან არც კი რცხვენიათ, როდესაც თავის ნათქვამს გადათქვამენ.

***– ამ შემთხვევაში ვის გულისხმობთ?***

– ბევრს ვგულისხმობ. ასეთები არიან ქართულ პოლიტიკაში და ოპოზიციაშიც არიან დიდი რაოდენობით. გავიხსენოთ მათი ბიოგრაფიები.

***– დაკონკრეტებისგან თავს იკავებთ?***

– რა აზრი აქვს?! მინდა, რომ შენარჩუნებული იყო ოპოზიციის ერთიანი ფრონტი და არ ვიტყვი ამიტომ, თორემ კი არ მერიდება, პირიქით, სიამოვნებით ვიტყოდი. მაგრამ საქართველოს მოსახლეობა უყურებს პოლიტიკურ თოქშოუებს და კარგად იციან, ვინ რას ლაპარაკობს. ამას თავად აღიარებენ, რომ ხშირად ცვლიან პოზიციებს, ერთ-ერთმა ლიდერმა როგორც თქვა, მერე რაო!

***– არ აკონკრეტებთ რა ცვლილებებს ვარაუდობთ ხელისუფლებაში, მაგრამ ერთი დეტალი მაინც გაგვიმხილეთ – გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ ეს ცვლილებები ქვეყანას უფრო მეტად დემოკრატიულობისკენ წაიყვანს?***

– მე ვფიქრობ, რომ რაღაც ფორმით ალბათ კი. ამ ცვლილებებმა არეულობისკენ არ უნდა წაიყვანოს და რაღაცა ფორმით გაკეთილშობილებისკენ უნდა წაიყვანოს დემოკრატიული ინსტიტუტები. თუკი რევოლუციები და შევარდნა-გამოვარდნა არ არის, მაშინ ყველანაირი ცვლილება სასიკეთოა ქვეყნისთვის. მე ვგრძნობ, რომ საზოგადოების მოთხოვნით და საერთაშორისო პოლიტიკური სპექტრის ზეწოლით რაღაცა ცვლილებები იქნება და ეს უკეთესი უნდა იყოს, მაგრამ არა ცვლილებები ცვლილებებისთვის. დაველოდოთ. ეს უნდა მოხდეს უახლოეს პერიოდში, ეს არის თვეების საქმე. მე ვფიქრობ, რომ დღეების საქმეა.

# ვატო სურგულაძე: „200 ლარად იცხოვროს ფინანსთა მინისტრმა, ლადო კახაძემ და პიანისტმა ბოლქვაძემ“

## „საქართველოში რამდენი კოვიდინფიცირებულია, არავინ იცის“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ვატო, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლება 15 იანვრიდან ლოკდაუნის გაუქმებას არ აპირებს. რა ზარალს იღებს ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობა და ამის საპირწონედ რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება? აქვს ასეთ მკაცრ რეგულაციებს შედეგი?***

– სამწუხაროდ, ინფორმაცია იმდენად მწირია, თუ რას აკეთებენ, ფაქტიურად არც არსებობს მსგავსი ინფორმაცია, აქედან გამომდინარე ძნელია შეფასებები თუ რას აკეთებენ. ის რომ ჩაკეტვა არ მოიტანს საბოლოოდ იმ შედეგებს, რაც უნდათ რომ მოიტანოს, ეს ცხადია. რასაც მიაღწიეს ჩაკეტვით, იმის მიღწევა შესაძლებელი იყო ჩაკეტვების გარეშეც, თუკი იქნებოდა ყველა წესი დაცული. ბიზნესმა საკმაოდ კარგად დაამტკიცა იმ ერთი კვირის განმავლობაში, რომ რიგებსაც მართავდა, ნაკადებს, ყველა წესს იცავდა. უფრო ადრეც რომ გაეხსნათ, უკეთესი იქნებოდა ალბათ ყველასთვის. გამობრძანდა ჩვენი ძვირფასი ფინანსთა მინისტრი და განაცხადა, 1200 ლარს მივცემთ ექვსი თვითო. ანუ თვეში 200 ლარს?! წავიდეს და 200 ლარად თვითონ იცხოვროს. იცხოვროს 200 ლარად ლადო კახაძემ და პიანისტი რომ გვყავს ბოლქვაძე, იმან კიდევ, ვნახავ ერთი, როგორ იცხოვრებენ. როგორც ვატყობ, 15-შიც არ აპირებენ ესენი გახსნას.

***– არ გახსნიან?***

– ასეთი პირი უჩანს. თუმცა წინა დღეს არ იციან, მეორე დღეს რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. დარწმუნებული ვარ, გააგრძელებენ, იმიტომ, რომ არაფერი არ გაუკეთებიათ იმისთვის, რომ სიტუაცია გამოსწორებულიყო.

***– რამდენ ხანს გაგრძელდება, თვის ბოლომდე?***

– არ ვიცი. ჯერ თვითონაც არ იციან. შესაძლოა პირველ თებერვლამდე, ან გვითხრან, მანამ, სანამ ვაქცინას არ შემოვიტანთო.

***– თუმცა ამ ჩაკეტვებით ეკონომიურად ისე ზარალდება და ღარიბდება მოსახლეობა. ამას რა ეშველება?***

– რა თქმა უნდა, ღარიბდება კი არა, გაღატაკდა ხალხი. ვერ გაიგებ, რა ჯობს, კორონას გადაურჩე და შიმშილით მოკვდე თუ პირიქით. ამ ჩვენს ძალიან, ძალიან ღარიბ სახელმწიფოს, მაინც არ ეყოფა თანხა საიმისოდ, რომ ყველა უზრუნველყოს, მაინც იქნება პრობლემები. ამიტომ ჯობდა, არ ჩაეკეტათ და ეს თანხები გადაესროლათ წესრიგის დასამყარებლად, იგივე ტრანსპორტსა თუ სუპერმარკეტებში. ასევე საავადმყოფოებში სერიოზული წესრიგია დასამყარებელი. ალბათ არ იცით, საავადმყოფოებში რა ხდება.

***– რა ხდება?***

– სრული ანარქიაა იქაც. სადაც არ არის კოვიდ კლინიკები, შედით და ნახეთ რა ხდება. არც რიგია დაცული, ხშირად ნიღაბი არ უკეთიათ. ექიმებსაც არ უკეთიათ ხშირად პირბადე და ზუსტად ამის კონტროლის გაძლიერებაა საჭირო. მხარდამჭერი კონტროლის გაძლიერებაა საჭირო. საჭიროა მუდმივი კონტროლი, მუდმივი ტრეინინგები. იგივე ოჯახის ექიმი საერთოდ არ ურეკავს პაციენტებს. იმ პაციენტებს, რომლებიც სახლში გადიან მკურნალობას. მე ნამდვილად ვერ ვხედავ, რამე კეთდებოდეს იმისათვის, რომ სიტუაცია გამოსწორდეს.

***– უბრალოდ ჩაგვკეტეს და მორჩა? ასე უფრო მარტივია ყველაფერი.***

– დიახ, მარტივია. ახლავე აქეთ გვეუბნებიან ნიშნის მოგებით, ნახეთ რამხელა შედეგი გვაქვს. რა შედეგზე საუბრობენ, ეს კიდევ საკითხავია. რამდენ ტესტს აკეთებენ?! 20 ათასს ვერ მიაღწიეს ვერასდროს. ცოტას რომ გატესტავ, ინფიცირებულიც ცოტა გეყოლება. პრაქტიკულად არ გაზრდილა პისიარტესტების რაოდენობა. ოჯახში თუ ერთს ემართება, დანარჩენები საერთოდ არ ატყობინებენ. ამიტომ ზუსტად ისიც არ ვიცით, რამდენ ადამიანს აქვს. არც აღრიცხვიანობა გვივარგა. კვირაობით ყოველთვის ცოტაა, იმიტომ, რომ ცოტა ტესტი კეთდება. სულ თუ არ გააკეთებენ, საერთოდ არ იქნება.



***– ახლა საუბარია ეკლესიის კლასტერზე. პატრიარქსაც ჩაუტარდა ტესტირება და განაცხადეს, რომ არ დაუდასტურდაო.***

– უამრავი სხვადასხვა კლასტერი შეიძლება გაჩნდეს, არა მარტო ეკლესიის, სადაც იქნება ხალხმრავლობა და არ დაიცავენ წესებს. ეს არის მოსაწესრიგებელი და არა ჩაკეტვა. შვილებს რომ ელემენტარული სადილი მოუმზადონ, ხალხს ამის საშუალება არ აქვს. ეს ძალიან დიდი საშიშროების წინაშე გვაყენებს, რომ სოციალური აფეთქება არ მოხდეს. დღეს კი ეს არავის არ გვჭირდება. ამას ვერ გაუძლებს ჩვენი ქვეყანა. რამდენსაც არ უნდა ამბობდეს ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ ჩვენ უკეთესი მონაცემები გვაქვსო, ნახეთ, რა ხდება. ის დაიწყო ქვეყანაში, რაც მხედრიონის დროს ხდებოდა. ხალხის დაუთოება და სახლში შევარდნები.

***– კრიმინოგენური სიტუაცია უმძიმესია ქვეყანაში.***

– და რატომ ხდება ეს?! იმიტომ, რომ ადამიანებს შიათ. ზუსტად იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვთ, რომ ოჯახს უშველონ ან თავის თავს უშველონ. აი ეს არის პრობლემა და რაც უფრო მეტად ვიქნებით ჩაკეტილები, უფრო მეტ ასეთ შედეგს მივიღებთ.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ პენიტენციურ სისტემაშიც მძიმე ვითარებაა. ბევრი დაინფიცირებული ჰყავთო. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

– ძალიან მწირი ინფორმაცია გამოდის, არ მესმის, რატომ მალავენ. ისიც საკვირველი იყო, რომ ამდენი ხანი შეინარჩუნეს სიტუაცია, ყოჩაღ, რომ ამდენი ხანი არ ყავდათ ინფიცირებულები. თუმცა ვირუსი იქაც შეიპარა. არ არის დამალვა საჭირო. პირიქით, რაც უფრო გამჭვირვალე იქნება და მეტს ვისაუბრებთ პრობლემის შესახებ, მით მეტი გზა გამოჩნდება. ეს ხომ არ არის სახელმწიფო საიდუმლოება. ეს პანდემიაა და არავის ბრალი არ არის. პირიქით, ისაუბრონ, რას აკეთებენ და როგორ აკეთებენ. რაც მეტ ინფორმაციას მივაწვდით საზოგადოებას, რაც გამჭვირვალე იქნება ეს პროცესი, მით უკეთესი. სერიოზული პრობლემა აქვთ საინფორმაციო კუთხით. ეს საკითხი სერიოზულად ჩაგდებული აქვთ.

***– კორონა ვირუსის ახალ შტამზეც ძალიან მწირი ინფორმაცია მიაწოდეს საზოგადოებას. არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუციათ.***

– ახალი შტამი არც ისეთი სერიოზული პრობლემაა, როგორც ამბობენ. შედარებით მსუბუქი მიმდინარეობა აქვს, თუმცა უფრო მეტად გადამდებია. ასეთი შტამი იქნება ძალიან ბევრი. ახლა ამერიკული შტამიც გაჩნდა. თუმცა მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდები რჩება იგივე. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი შტამი იქნება, ამით არაფერი არ იცვლება. მასმედიამაც ცოტა ზედმეტი ყურადღება გაამახვილა ამ შტამზე. დავიცვათ თავი ნიღბებით, დისტანციით, ჰიგიენით. არაა საჭირო ეს დაბადების დღეები და ამდენი გაუმართლებელი შეკრებები. იატაკქვეშეთში გადაინაცვლა ამ ყველაფერმა და ჩუმად იკრიბებიან.

***– გავრცელდა ფოტო თუ ვიდეო მასალა, ხელისუფლების წარმომადგენლები როგორ ილხენდნენ საახალწლოდ. ეს ჩაკეტილი მოსახლეობისთვის რთულად გასაგებია.***

– ჩვენთან ეს უსამართლობა ხომ ყოველთვის არის და სწორედ ეს არის დიქტატურის პირველი მაჩვენებელი. რესტორნები და კაფეები ღია რომ იყოს, უფრო ადვილი იქნებოდა ამის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი გუგავა: „ევროპელი სოციალისტები“ დაირქვეს, ეს იგივეა, ნიანგმა ოპერაში იმღეროს“

## „რეჟიმის წინააღმდეგ ფრონტი ყველა მიმართულებით უნდა გავშალოთ, მათ შორის აქციებიც უნდა გავმართოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

**როდის შედგება მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი და რას ელოდება მისგან ოპოზიცია? იქნება თუ არა გაზაფხულზე აქციები და როგორ დაათმობინებენ პოზიციებს ხელისუფლებას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს.**

***— მოლოდინია მეხუთე რაუნდის მიმართ. თუ იცით უკვე თარიღი, როდესაც გაიმართება და რამე კონტურები ხომ არ გამოიკვეთა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ ყველაფერზე?***

— ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის, შედგება თუ არა და როდის. ყოველ შემთხვევაში, ბრძოლა უნდა გაგრძელდეს იმ უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რაც ხდება. რეალურად ეს არის არალეგიტიმური პარლამენტი და ის ვერ გადაწყვეტს მნიშვნელოვან და სტრატეგიულ საკითხებს, მათ შორის, ფორმალურადაც. ის ვერ გადაწყვეტს კონსტიტუციურ საკითხებს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ხალხს მისთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია და გაყალბების შედეგად ფორმდება. ამის გამო მიდის ბრძოლა, რომ ჩვენ მივაღწიოთ ახალ არჩევნებს. ახალი არჩევნები აკვიატება არ არის. ქვეყნის წინაშეა უმწვავესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი საკითხები, რაც უნდა გადაწყდეს. ეს კი ამ ვითარებაში ვერ გადაწყდება, თუ ხელახალი არჩევნები არ დაინიშნა.

***— როგორ უნდა მიაღწიოთ ვადამდელ არჩევნებს, როდესაც „ოცნებას“ მყარად აქვს პოზიცია, რომ არ დანიშნავს ვადამდელს?***

— ამისათვის ქვეყნის შიგნით არსებობს ამის რესურსი და ეს არის ხალხის მიერ პროტესტის გამოხატვა აქტიურად, ხოლო ქვეყნის გარეთ აუცილებელია ჩვენ. სხვაგვარად ჩვენი ქვეყანა და მისი განვითარება განწირულია ჩიხისათვის. შესაძლოა ყველაზე დიდი უბედურება დაგვატყდეს თავს და დავკარგოთ ქვეყნის სუვერენიტეტი, რადგანაც დღევანდელი ხელისუფლება რუსეთის მიზნებს ემსახურება. ხდება სუვერენიტეტის დისკრედიტირება, რომ ჩვენ არშემდგარი სახელმწიფო ვართ და ვერ ავაშენეთ სახელმწიფო ინსტიტუციები, ვერ დავამყარეთ დემოკრატია, ვერ ავაშენეთ ისეთი სახელმწიფო, სადაც სოციალური სამართლიანობა და კეთილდღეობა იქნება.

***— საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაზე ისაუბრეთ და ამერიკაში განვითარებული პროცესები ხომ არ დააყოვნებს მხარდაჭერას?***

— მე პირიქით ვფიქრობ, შესაძლოა ამერიკაში განვითარებულმა პროცესებმა, პირიქით, დააჩქაროს მხარდაჭერა და გამოკვეთონ მხარდაჭერა ქართველი ხალხის მიმართ – იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც აქ რუსეთი ატარებს ოლიგარქი ივანიშვილის მეშვეობით. რუსეთმა დასვა აქ რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ივანიშვილის სახით.

***— ტრამპის პოლიტიკასაც ასე უყურებთ, რომ მასში რუსეთის ხელი ურევია?***

— რა თქმა უნდა. ამას მე კი არ განვიხილავ ასე, არამედ ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ფიქრობს ასე და ეს გამოკვეთა ბოლო მოვლენებმა.

***— გაზაფხულიდან გეგმავთ თუ არა საპროტესტო აქციებსაც, რათა ოპოზიციამ თავის მიზანს მიაღწიოს?***

— ყველა მიმართულებით უნდა გაიშალოს ფრონტი არსებული არალეგიტიმური ხელისუფლების და ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ქართველმა ხალხმა უნდა დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ამისათვის აუცილებელია ბრძოლა, სხვაგვარად შეუძლებელია იმ უმწვავესი პრობლემატიკის გადალახვა, რის წინაშეც ჩვენ აღმოვჩნდით. თუ ახალი არჩევნები არ იქნება, მაშინ ჩვენ წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია. ახალი ხელისუფლება უნდა შეეჭიდოს იმ მწვავე პრობლემებს, რომლის წინაშეც ვდგავართ. საერთო ეროვნული ძალისხმევით უნდა მოხდეს კონსოლიდირება და გადავწყვიტოთ სტრატეგიული საკითხები. რაც მალე აღმოიფხვრება ეს უმწვავესი საკითხები, მით მალე შევძლებთ ჩვენ განვითარებას.

***— ოთხი დეპუტატის პარლამენტში შესვლით „ოცნებას“ აქვს ფორმალური საფუძველი თქვას, რომ ოპოზიცია არის პარლამენტში. აქვე შეაფასეთ კობახიძის განცხადება, როცა „პატრიოტებზე“ თქვა, რომ მისი პრორუსული ნაწილი არ შემოვიდაო?***

— ეს არის წარმოუდგენელი უტიფრობა. ხალხმა პირდაპირ თქვა, რომ მანდატების მოპოვებაში ფული გადაიხადეს და მათ თავი უკრეს პარლამენტში. მათ დაირქვეს ევროპელი სოციალისტები, რაც დაახლოებით იგივეა, ნიანგმა ოპერაში იმღეროს. ვინ თქვა მათი სოციალისტობა და, მით უმეტეს, ევროპელობა?! ეს არის ხელოვნური შეთითხვნა და ჩალიჩ-მალიჩი, რომ როგორმე მრავალპარტიული გახადონ პარლამენტი. ეს არის უტიფრობა და არავინ არ ჭამს ამას. პოლიტიკურმა ძალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ერთპარტიულ პარლამენტს და ვინც შევიდნენ, რეალურად ისინიც „ოცნების“ და რეჟიმის წევრები არიან.

***— ხომ არ გაგრძელდება შესვლის ტენდენცია?***

— არა მგონია. ამით ვერ გადაწყდება უმწვავესი კრიზისი. მათი ჩალიჩიც მოწმობს კიდევ ერთხელ იმას, რომ ესენი რაც შეიძლება მალე არიან გასაყრელები ხელისუფლებიდან.

***— გაქვთ მოლოდინი, რომ 2021 წელს მათ გაყრით ხელისუფლებიდან?***

— ქართველი ხალხის ძალისხმევა მთლიანად უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ ჩვენ დავძლიოთ ეს უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი, ეს არალეგეტიმური პარლამენტი დათხოვნილი იყოს და ჩატარდეს ახალი არჩევნები სამართლიან გარემოში, შეიქმნას კოალიციური მთავრობა მაღალი ლეგიტიმაციით და შეებრძოლოს იმ უმწვავეს გამოწვევებს, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა და თითოეული მოქალაქე დგას.



***— ბოლოს შეაფასეთ ნინო ანანიაშვილის გადაწყვეტილება. გვესმის, რომ პოლიტიკა და კულტურა სხვადასხვა სფეროებია, მაგრამ ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ამ ფონზე სწორია ეს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ ის არის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მეუღლე და რუსეთს გერმანიას ადარებს?***

— უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის, რომ პოლიტიკასა და პოლიტიკის სეგმენტს წარმოადგენს კულტურა და ხელოვნება. აქედან გამომდინარე მისი გამიჯვნა ცალსახად ვერ ხდება. კულტურა ერთგვარი პოლიტიკის გატარების საშუალებაც არის. აქედან გამომდინარე ეს გადაწყვეტილება მისასალმებელი არ არის. როგორც ვიცი, ხელშეკრულება შეჩერდა.

***— ამ შემთხვევაში ასეთი ზომიერი განცხადებით შემოიფარგლებით?***

— დიახ. იმიტომ, რომ საზოგადოება ამას თავად მისცემს შეფასებას.

# „სააკაშვილი სხვა პოლიტიკურ ლიდერებს არ გაახარებს“

## მამუკა გიორგაძე: „პოლიტელიტა დასავლელ პარტნიორებს საქართველოზე არასერიოზულ შთაბეჭდილებას უქმნის“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართული ოცნება“ საერთაშორისო პარტნიორებს საინფორმაციო ბიულეტენებს უგზავნის. მმართველი პარტია იტყობინება, რომ მეათე მოწვევის პარლამენტი აღარაა ერთპარტიული და საკანონმდებლო ორგანოში უკვე მუშაობს ოპოზიციური პარტია — „ევროპელი სოციალისტები“, რომელიც, თავის მხრივ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისგან“ გამოყოფილმა პირებმა დააარსეს. ბარიერგადალახული ოპოზიცია (მისი უმრავლესობა) ისევ უარს ამბობს პარლამენტის მანდატებზე და ისევ რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს. ოპოზიციონერები მოუწოდებენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, არ აღიარონ 2020 წელს საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგი. ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.**



**მამუკა გიორგაძე:**

— ეს ყველაფერი არასერიოზულია. საქართველოს პოლიტელიტა დასავლელ პარტნიორებს საქართველოზე არასერიოზულ შთაბეჭდილებას უქმნის. გარდა ამისა, ამის შემხედვარე საქართველოს მოსახლეობა და საგარეო მოკავშირეები ხედავენ, რომ საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ გამოიყურება. საქართველოში მცხოვრები ადამიანები ამის გამო ვარდებიან ღრმა ნიჰილიზმში და ასკვნიან, რომ არაფერი გვეშველება. ამ პარტიების პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველოს ჯერ არ ილებენ ნატოში, რომ ქვეყანაში იქმნება ანტიდასავლური განწყობები და არ არსებობს დემოკრატია.

***— ამაში მმართველი პარტიაც მონაწილეობს და აქტიური ოპოზიციაც?***

— რასაკვირველია. მათ როლები აქვთ გადანაწილებული. ისინი მონაწილეობენ მრავალსერიან ანტისახელმწიფოებრივ სპექტაკლში. აბსოლუტური მნიშვნელობა არა აქვს, ვინ შევიდა პარლამენტში და ვინ – არა. საინფორმაციო ბიულეტენების გაგზავნაც არასერიოზულია და ოპოზიციის მოწოდებებიც. საუბედუროდ, ამის მაყურებელ საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს მიმართ პატივისცემა უქრება და მათი დახმარება შეიძლება სხვა მოცულობის იყოს.

***— აშშ-მ საქართველოს მიმართ მკაფიოდ დაადასტურა ორპარტიული ინტერესი. რა მოვლენებიც არ უნდა მოხდეს კაპიტოლიუმში, ამერიკის ინტერესი ქვეყნისადმი გაიზარდა. ამ მხრივ რაღაც ხომ შეიცვლება?***

— რაღაც შეიცვლება. აშშ-ის ინტერესი არსებობს, მაგრამ დასავლეთს არ აქვს ჩვენს შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები. დასავლეთი რაღაცაში დაგეხმარება, შუამავლობას გაგიწევს, განახორციელებს ფინანსურ პროექტებს, მაგრამ შენ თუ არ გინდა, სხვა ხომ ვერ აგიშენებს სახელმწიფოს?! დასავლეთს უნდა ნორმალური გარემო და სტაბილურობა საქართველოში. ის ამ ამოცანის შესრულებას ცდილობს. ეს იგივეა, რომ ექიმი ძალ-ღონეს ახმარდეს პაციენტს, პაციენტი კი თვითლიკვიდაციისკენ იყოს მიმართული. ასეთ შემთხვევაში მედიკოსი უძლურია.

***— მსოფლიოში დიდი ძვრები ხდება. საქართველოს მომავალი მხოლოდ ამ პარტიების ქცევაზეა დამოკიდებული? აღმოსავლეთ ევროპის (ყოფილ სოციალისტურ) სახელმწიფოებში პოლიტიკური სპექტრი შეიცვალა.***

— ჩვენი პრობლემა ისაა, რომ სხვას შევყურებთ, ჩვენს საზოგადოებას აკლია თვითორგანიზების უნარი. ვერ გამოვსულვართ ბელადომანიის მარწუხებიდან. საბჭოური ტრადიციებით, პარტია და ხელისუფლება ერთი და იგივე გვგონია. ასეთი საზოგადოებით მანიპულირება ადვილია. პოლიტიკა საქართველოში პერსონიფიცირებულია და არ ემყარება იდეათა ჭიდილს, ქვეყნის მშენებლობას. აშშ-ში ამ დღეებში ამაღელვებელი მოვლენები მოხდა. ბევრი ამას პირადად ტრამპის სახელს უკავშირებს. სინამდვილეში, იქ იდეოლოგიების შერკინებაა – მემარცხენე რადიკალები, ცენტრისტი მემარცხენეები ებრძვიან მემარჯვენეებს. ჩვენთან კაციშვილმა არ იცის, რა იდეოლოგიას მისდევენ ივანიშვილი და სააკაშვილი. ჩვენ, საქართველოს სახალხო პარტიას, მჭიდრო თანამშრომლობა და იდეოლოგიური ერთობა გვაკავშირებდა ევროპის სახალხო პარტიასთან. როცა პარლამენტში აღარ ვიყავით, ეს კავშირი დაირღვა. როცა საქართველოს სახალხო პარტია ვთანამშრომლობდით ევროპის სახალხო პარტიასთან, სააკაშვილი მასთან კონტაქტსაც ვერ ბედავდა. იმ დროს სააკაშვილი ევროპელ სოციალისტებთან და ლიბერალებთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას.

***— ნაციონალები რამდენიმე წელიწადია აღარ არიან ხელისუფლებაში. ევროპის სახალხო პარტიასთან მაინც თანამშრომლობენ?***

— დიახ. ნაციონალური მოძრაობა ითვლება ქვეყანაში მეორე პარტიად, ანუ მთავარ ოპოზიციად. ამიტომ მას ლობირებენ და მის გაქრობას არ დაუშვებენ. ნაციონალები ამით სპეკულირებენ.

***— თუმცა, მათ დასავლეთის მხარდაჭერა არა აქვთ. ბოლო დროს ეს უფრო მკაფიო გახდა.***

— გეთანხმებით. იმისათვის, რომ დასავლეთის მხრიდან ნაციონალების დასაცავად განცხადებები გაკეთდეს, „ოცნება“ იბრძვის. მაგალითად, დასავლეთმა არ მოიწონა პარლამენტში არშესვლა. მეორე დღეს გამოხტნენ „ქართული ოცნების“ წევრები და დაიმუქრნენ, რომ რეგისტრაციას გაუუქმებენ ნაცმოძრაობას. ამას მოჰყვა დასავლელი პარტნიორების უკმაყოფილო რეაქცია. იდეოლოგიურად გაურკვევლობაშია „ქართული ოცნება“. ადრე რამდენჯერმე თქვეს, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისკენ ვიხრებითო. შე კაი დედმამიშვილო, თუ სოციალ-დემოკრატი ხარ, დამანახე! ჩვენი პარტია სხვა პოზიციაზე დგას, მაგრამ შენი სოციალ-დემოკრატობა მაჩვენე იმ დროს, როცა ეკონომიკა ჩამოიქცა!

***— საქართველოს პოლიტიკაში ისევ ბელადომანია იქნება? არაფერი იცვლება?***

— საუბედუროდ, არა. ნაციონალურ მოძრაობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს, მაგრამ სააკაშვილი არავის წინ წამოწევას არ დაუშვებს. ის სხვა პოლიტიკურ ლიდერებს არ გაახარებს. ეშინია, რომ სხვა მას გადააგდებს. ესეც საბჭოთა ტრადიციაა. თვითონაც ასე მოექცა შევარდნაძეს. არც „ოცნებაში“ იქნება რეალური ცვლილებები, რაც უნდა ფორმალური გადანაცვლებები მოხდეს.

# „საქართველოში რამდენი კოვიდინფიცირებულია, არავინ იცის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გაკონტროლება, ვიდრე სადღაც იატაკქვეშეთ რესტორნებში და ბინებში. პირიქით, როდესაც საჯაროა, იქ უფრო გააკონტროლებ. ექვს კაცზე მეტი ზის, არ არის დისტანცია, დააჯარიმებ იმ რესტორანს. მერე თვითონ წამოვა რესტორანი ამაზე და დაიცავს ყველა წესებს. როგორც პროსტიტუციას ვერ მოერევიან, ისე ვერ მოერევიან ასეთ რაღაცას. თუ ადამიანს უნდა, ის ამას მაინც გააკეთებს, ჩუმად შეიკრიბებიან და არც წესებს დაიცავენ. უფრო მეტად საშიში არ არის შენ კონტროლ ქვეშ რომ არ იქნება ეს ყველაფერი?!

***— ხელისუფლებას არა აქვს სწორი ხედვები?***

— არც ხედვა აქვს და სულ ეშინია. ეშინია იმიტომ, რომ არ იცის, როგორ გააკეთოს. არ იცის, როგორ გააკონტროლოს ეს ყველაფერი. ამიტომ ადგა და ჩაგვკეტა. ამით კი ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ. ლოკდაუნსაც გააგრძელებენ, რადგან არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ გახსნან. ეს 1200-ლარიანი დახმარება ექვს თვეზე, უბრალოდ, სირცხვილია. თვითონ იცხოვროს 200 ლარად ჩვენმა ფინანსთა მინისტრმა. მარტო ერთმა კაცმა, ოჯახზე არ ვიძახი. ან ეს გაუგებარი დეპუტატები, თვითონაც არ იციან, რა განცხადებებს აკეთებენ. სადა გვყავს მოშიმშილე ბავშვებიო! სირცხვილია ამის თქმა. 200 ლარად ბეთჰოვენი დაუკრან, მოცარტი და თუ უნდათ ყველა ერთად 200 ლარად. ვნახავ ერთი, როგორ დაუკრავს.

***— ბატონო ვატო, როდის შემოვა ვაქცინა საქართველოში და ამ კუთხით რა მოლოდინი გაქვთ?***

— ჩვენი მინისტრი ამბობს, რომ თებერვალში ვაქცინას შემოვიტანთო. თუმცა ვაქცინის შემოტანა არ მოაგვარებს პრობლემას. თუ ვაქცინის შემოტანას თებერვალში გეგმავენ, ახლა სერიოზული სამზადისი უნდა ჰქონდეთ. სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი. უნდა მოამზადონ სია, ვის როდის უკეთდება. ასევე, რომელ კლინიკებში გაკეთდება, უნდა მოხდეს გადამზადება ექიმ-ვაქცინატორების და ასევე ექთნების. უნდა შევიძინოთ შესაბამისი შპრიცები, ნემსები, პირადი დაცვის საშუალებები და უამრავი რამ. ასევე მაცივრების სისტემა მოაწესრიგონ. ყველაფერი უნდა იყოს გაწერილი. ორი ვაქცინა კეთდება, ორდოზიანია. 28-დღიანი სხვაობაა. ან რეგიონებში როგორ მოხდება ამის უზრუნველყოფა.

***— მსგავსი არაფერი არ კეთდება?***

— მე ვერ ვხედავ, რომ რამე კეთდებოდეს. მიდის გადამზადება მედპერსონალის?! ხომ შეიძლება ჩამოწერონ და თქვან, რომ აი ამას ვაკეთებთ და ამას. წინასწარ უნდა გაიწეროს ეს ყველაფერი. თორემ ისე არ მოხდეს, რომ ჩამოვიტანოთ ვაქცინა და გავაფუჭოთ.

# „საქართველოში 9400 პატიმარია და ამნისტია ყველას უნდა შეეხოს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**



## მამუკა ტუსკაძე: „ბოლო ამნისტიიდან 8 წელი გავიდა. ნორმალური მთავრობა, ყოველ 4 წელიწადში, მცირემასშტაბიან ამნისტიის კანონს მაინც უნდა იღებდეს“

***– ბატონო მამუკა, ახალმა პარლამენტმა დაიწყო ამნისტიის შესახებ კანონის შემუშავება. ეს ერთჯერადი აქტია და გარკვეულ მუხლებს ეხება. თქვენ ამ ფაქტს როგორ აფასებთ? შენიშვნები თუ გაქვთ?***

– კარგი იქნება თუ ამნისტიის აქტი ყოველ 4 წელიწადში მიიღება. შეიძლება „ოცნების“ მმართველობა არ შეცვლილა, მაგრამ ამნისტია 2016 წელსაც უნდა ყოფილიყო. კარგია, რომ 2020 წელს მაინც გაახსენდათ ამნისტიის კანონის მიღება. ახალი ხელისუფლების მოსვლა, პირველ რიგში, მსჯავრდებულებმა უნდა იგრძნონ, რადგან მსჯავრდებულები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. ამიტომ მივესალმები თუნდაც ამ მცირემასშტაბიან ამნისტიას.

***– რატომ მცირემასშტაბიანს, ამნისტია, სავარაუდოდ, 800 მსჯავრდებულზე მეტს შეეხება.***

– საყვედურით მინდა აღვნიშნო, რომ მცირემასშტაბიანი ამნისტიაა. მეორე მოსმენის დროს, მუხლების რაოდენობას ცოტა მოუმატეს, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის.

***– რატომ არ არის საკმარისი?***

– ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი პატიმარია. ამიტომ მივესალმები ამნისტიის შესახებ გადაწყვეტილებას, კანონი 1 თებერვლიდან შევა ძალაში.

***– 2016 წელს მთლიანად არა, მაგრამ პარლამენტის შემადგენლობა მეტ-ნაკლებად განახლებული იყო, საინტერესოა, რატომ არ გამოსცეს ამნისტიის აქტი?***

– ამნისტია აუცილებელია. ნორმალური მთავრობა, ყოველ 4 წელიწადში, მცირემასშტაბიან ამნისტიის კანონს მაინც უნდა იღებდეს. ბოლო ამნისტიიდან 8 წელი გავიდა. მაინც კარგია, 8 წლისთავზე ამნისტიის აქტს რომ იღებენ. თუმცა, ახლანდელ ამნისტიასთან დაკავშირებით ჩემი შენიშვნები მაქვს.

***– რა შენიშვნები გაქვთ?***

– საქართველოში ამ წუთში 9400-მდე პატიმარია. მე ახლა პარტიის თავმჯდომარე ვარ, მაგრამ ადრე ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრი ვიყავი. ამიტომ სასჯელაღსრულებაში და მსჯავრდებულებში რა ხდება, ვიცი, ეს ჩემი პროფილია.

***– ანუ საპატიმროებში არიან ისეთი ადამიანები, რომელთა გათავისუფლება შესაძლებელია და კრიმინალური ვითარების გაუარესებას არ გამოიწვევს?***

– დიახ, მათი გათავისუფლება კრიმინალური ვითარების გაუარესებას არ გამოიწვევს. 2012 წლისთვის საპატიმროებში 25 ათასამდე ადამიანი იყო და 9400-მდე შემცირდა. კრიმინალი მეტ-ნაკლებად იყო და ახლაც არის, გარკვეული დანაშაულები ხდება, მაგრამ 16 ათასი კაცი, რომელმაც საპატიმრო დატოვა, ყველა კრიმინალი რომ ყოფილიყო, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა.

2012 წელს პოლიტიკური ციხეები იყო, ჩვეულებრივი სააკაშვილის გეტოები, პოლიტპატიმრებით გავსებული, რაც გამოსწორდა. საქართველოში პოლიტიკური ციხეები აღარ არის, მაგრამ 9400 მსჯავრდებული 3-მილიონიანი მოსახლეობისთვის ძალიან დიდი ციფრია. თანამედროვე ევროპული სტანდარტით, 3-მილიონიან მოსახლეობას, შეიძლება, საშუალოდ 5 ათასი მსჯავრდებული ჰყავდეს. ეს ამნისტია კი 1500-მდე მსჯავრდებულს შეეხება, რაც ძალიან ცოტაა. ვფიქრობ, ეს ციფრი მინიმუმ 3 ათასამდე მაინც უნდა გაიზარდოს.

***– მე 800 და 1200-ც ბევრად მეჩვენება, მაგრამ კონკრეტულად, რომელი მუხლები შეიძლება დაემატოს?***

– ვფიქრობ, ამნისტია 9400-ვე პატიმარს უნდა შეეხოს. იმ ფორმით, როგორც ეს 2012 წელს იყო. 1/4-ით იქნება თუ 1/3-ით, სასჯელის ვადა ყველა მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს.

***– ანუ საყოველთაო ამნისტია უნდა გამოიცეს?***

– დიახ, საპატიმროს ყველა ვერ დატოვებს, მაგრამ ადამიანს 8-10 წელი რომ აქვს მისჯილი, ორი წელი მოაკლდება, ზოგს – 1 წელი მოაკლდება, ზოგს – სამი. ამით ფართომასშტაბიანი ამნისტია განხორციელდებოდა და ადამიანის უფლებებზე იქნებოდა მორგებული, რასაც არ აკეთებენ.

***– მოკლედ, ამ ამნისტიის ხარვეზი რა არის?***

– ამ ამნისტიის ხარვეზი ისაა, რომ ფართომასშტაბიანი და ყველა მსჯავრდებულზე მორგებული არ არის. სჯობდა საპატიმრო 500 კაცს დაეტოვებინა, სამაგიეროდ, 9 ათას კაცს შეხებოდა და სასჯელის ვადა შემცირებოდა.

***– თქვენი აზრით, ამ ამნისტიაში კარგი რა არის?***

– კარგი ისაა, რომ ამნისტია გამოდის. ეს ამნისტია ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებს ეხება. ოღონდ, აქაც დაზარალებულის თანხმობაა საჭირო, რაც ნორმალურ პირობად მიმაჩნია. ვიღაცამ 10 ათასობით ლარში გადააგდოს ადამიანი, მერე არ გაუსტუმროს და ციხიდან ისე გამოვიდეს, არასწორი იქნება. ამნისტია ეხება ქურდობას, ყაჩაღობას, თაღლითობას გამოძალვას მცირე დოზით, მხოლოდ პირველ ნაწილებს. არ ეხება მეორე, მესამე, მით უმეტეს, მეოთხე ნაწილებს. ამიტომ ამნისტიის ხარვეზიც ისაა, რომ მხოლოდ მსუბუქ დანაშაულებს ეხება. ამნისტია თავის თავში ამნეზიას გულისხმობს. სიტყვა ამნისტია დავიწყებას ნიშნავს.

***– ანუ, ვისაც ამნისტია შეეხება, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებს სახელმწიფო ივიწყებს.***

– დიახ, კანონმდებელი ამბობს, საკმაო დროა გასული და დავივიწყოთ მისი დანაშაულიო. ეს არის ამნისტიის დედააზრი. კარგია, ამნისტია რომ გამოდის და თუნდაც იმ 1200 კაცს ეხება. თუმცა, სჯობდა, საქმეები ინდივიდუალურად შესწავლილიყო მუხლებისა და დანაშაულების კლასიფიკაციის მიხედვით და ამნისტია ისე განხორციელებულიყო.

***– მაგალითად, მე ნარკოტიკული დანაშაულების ჩამდენი პირების გამოშვებას არ ვემხრობი.***

– თქვენ არ ემხრობით, მაგრამ მე ვემხრობი. როცა ფართომასშტაბიან ამნისტიაზეა საუბარი, ნარკოტიკზე იქნება მსჯავრდებული თუ ეკონომიკურ დანაშაულზე, ყველას თანაბრად უნდა შეეხოს. ეს ამნისტია ყველაზე კარგი მაშინ იქნებოდა, თუ მსჯავრდებულებს სასჯელი 2012 წლის ამნისტიასავით 1/4-ით თუ 1/3-ით შეუმცირდებოდათ. ეს არის ამ ამნისტიის ძირითადი ხარვეზი.

ამნისტია ნარკოტიკული და ეკონომიკური დანაშაულების ყველა მუხლს ეხება. აგრეთვე ეხება ისეთ დანაშაულებს, რომელზეც საქართველოს პატიმარი არ ჰყავს.

***– კერძოდ, რომელი მუხლია?***

– მაგალითად, მუხლს, რომელიც გემის მიტოვებას ეხება. საქართველოში არ გვყავს ადამიანი, რომელიც გემის მიტოვებაზეა მსჯავრდებული.

***– როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ამნისტია უვადო პატიმრებსაც ეხება?***

– საქართველოში, მსოფლიოში და დედამიწაზე უვადო არაფერია. ყველაფერს რაღაც ვადა აქვს. დედამიწაზე სიცოცხლეს აქვს ვადა. ამ ეტაპზე საქართველოს 74 უვადო პატიმარი ჰყავს. 74-ვეს ამნისტია ეხება. უთხრეს, თუ შენ 20 წელს მოიხდი, განვიხილავთ შენი ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხსო.

***– ანუ კარგი პირობა შეუთავაზებიათ.***

– დიახ, ამ ამნისტიას პირობითად შეიძლება ეწოდოს ამნისტია უვადო პატიმრებისთვის, ანუ ახლანდელი ამნისტია ასე შეიძლება დასათაურდეს. უვადოების ამნისტიაა, რადგან ამნისტია დროში გადაიყვანეს. ასევე მსჯავრდებულებს, რომლებსაც ნარკოტიკული დანაშაულებისთვის უვადო სასჯელი, ანუ არაძალადობრივი დანაშაულის გამო აქვთ უვადო სასჯელი და მოხდილი აქვთ არანაკლებ 15 წელი, ისინი საპატიმროებიდან თავისუფლდებიან.

***– არ მესმის, რატომ უნდა გათავისუფლდეს ნარკოტიკების გამყიდველი?***

– კანონმდებელი თვლის: თუ პირი 15 წელი სასჯელს იხდის, ის უნდა გათავისუფლდეს იმის გამო, რომ კავშირები, რომლითაც ნარკოტიკს ასაღებდა, აღარ აქვს. კანონმდებელმა იფიქრა, რომ დროა, მათ ცხოვრების თავიდან დასაწყებად შანსი მისცეს.

***– რაღაც არ მჯერა, რომ ასეთ პირს გამსაღებლებთან კავშირები გაწყვეტილი ჰქონდეს.***

– მეც არ მჯერა, მაგრამ კანონმდებელმა ასე იფიქრა. პირადად მე, როგორც პარტიის თავმჯდომარე და უფლებადამცველი, ვფიქრობ, რომ ამნისტია ჰუმანური აქტია და კარგია, რომ გამოდის.

***– თუმცა, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება ნარკორეალიზაციის აღზევებას გამოიწვევს.***

– საუბედუროდ, ასეა. ამ ამნისტიის უარყოფითი შედეგი ეს იქნება. ამ ამნისტიით ნარკოტიკული დანაშაულის წახალისებას უნდა ველოდოთ.

***– ანუ უმძიმესი დანაშაულების ჩამდენი პირები შეიძლება გათავისუფლდნენ?***

– კი, მაგრამ 20 წელი თუ აქვთ მოხდილი. ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევაში 15 წელი უნდა ჰქონდეთ მოხდილი. ამ ამნისტიას ამიტომ ვუწოდებ ამნისტიას უვადო მსჯავრდებულებისთვის. ყველაზე კარგად მაგათ ეხებათ. ადამიანებს, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ რწმენა, რომ როდესმე თავისუფლებას ეღირსებოდნენ, გათავისუფლების რწმენა გაუჩინეს.

ამნისტია უნდა შეხებოდა პატიმრებს, რომლებიც (ამ ამნისტიამ არაფერი დააკლო) 8-10 წელია ციხეში სხედან. თუ გამოსასწორებელი იყო, გამოსწორდა. თუ ადამიანი ზის ძალადობრივ დანაშაულზე, ვიღაც მოკლა, ან რაღაც სასწაული ჩაიდინა, 8 წელი პატიმრობაშია, საკმარისია იმისათვის, რომ რესოციალიზებული იყოს და ამნისტია მასაც უნდა შეხებოდა.

***– რესოციალიზაცია არც ისე ადვილი საქმეა.***

– ამნისტია მაშინ არის შედეგიანი, როდესაც ამნისტიით ციხიდან გამოსული ადამიანები რესოციალიზებული იქნებიან, ციხიდან გამოვლენ და განმეორებით დანაშაულს აღარ ჩაიდენენ. სახელმწიფო ამნისტიით ციხიდან გამოსულ 1200 ადამიანს ვერ ახვედრებს სამუშაოს, ვერ ახდენს მის რესოციალიზაციას, შესაბამისად, მათი ნაწილი დაბრუნდება საპატიმროებში.

მთავარია ამნისტიის შედეგები. სახელმწიფო მათ რომ ეუბნება, წადი სახლშიო, სახლში რა დახვდებათ, მშიერი ცოლ-შვილი და გაუბედურებული მშობლები. ამიტომ ამნისტირებულ პირს ხელახალი დანაშაულის ჩადენის კარგი შესაძლებლობები ეძლევა. ვფიქრობ, ამნისტირებული 1200 მსჯავრდებულიდან ნაწილი უკან შებრუნდება. რამდენიმე პატიმარს ვიცნობ, რომელსაც საპატიმროში ყოფნა ურჩევნია.

თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ პატიმრების რაოდენობა როგორმე 5 ათას პატიმარზე დავიდეს. 3 მილიონიან ერს მეტი პატიმარი არ უნდა ჰყავდეს, თუ კრიმინალების შთამომავლობა არ არის. ყველა ნიუანსის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ ამნისტია ხორციელდება.

---

# „ქართული ოცნება“ ლობე-ყორეს ედება“

ნათია ხურცილავა

**ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



## ლაშა ჩხარტიშვილი: „ამ ხელისუფლების ოთხწლიან მმართველობასთან შეგუება ნიშნავს, რომ ვეგუებით შიმშილს, ვირუსს, სიკვდილს, უმუშევრობას, სიღატაკეს და იმ უბედურებას, რომელიც დღეს ქვეყანაში ხდება“

***– ლაშა, შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური პროცესი დასრულებულია, რადგან როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, ოპოზიცია უკვე პარლამენტშია წარმოდგენილი?***

– „ქართული ოცნების“ პოლიტბიუროში, რომელიც პარლამენტის შენობაში ხანდახან იკრიბება, არაფერი შეცვლილა. „ქართულ ოცნებაში“ პრორუსული პარტიის მეტად ოდიოზური ე.წ. ბიზნესმენთა ფრთა შევიდა, რომელთაც ცალკე პარტია დააფუძნებინეს, ეს იყო და ეს. ეს ძალიან არასერიოზული და სამარცხვინო ამბავია.

შევარდნაძის დროის პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნებისა და საერთაშორისო ფინანსურ სკანდალში გახვეული, არაბულ სამყაროში საეჭვო ბიზნესმენის მიერ დაფუძნებული პარტია, სინამდვილეში არის მარგინალ ოთხ ბიზნესმენთა გაერთიანება. იმ დონეზე დაეცა „ქართული ოცნება“, რომ ასეთ ლობე-ყორეს ედება. იგივე წარმატებით შეეძლო თავად „ქართულ ოცნებას“ შეექმნა თავის რიგებიდან გამოყოფილი წევრებისგან პარტია. მაგალითად: „ფსევდო აჯანყებულ მონათა პარტია“, „ბიძინას მადიდებელთა პარტია“, „ბიძინას მემარჯვენე და მემარცხენე მხარდამჭერთა პარტია“. მრავალი კომბინაციის გათამაშება შეუძლიათ.

***– ირონიის გარეშე, გამორიცხავთ ასე რამეს?***

– არა, რა თქმა უნდა! მაგრამ ვინ დაიჯერებს?! რომელი საერთაშორისო პარტნიორი ირწმუნებს ამას?! ან ამ ნაბიჯის სერიოზულობის ვის სჯერა „პატრიოტთა ალიანსთან“ მიმართებაში ვამბობ, რომელთაც, სამწუხაროდ, სია არ ჩახსნეს. პარტიის ლიდერებმაც კი არ იკადრეს შესვლა ამ პარლამენტში. „პატრიოტთა ალიანსი“ პარლამენტს რომ დაიწუნებს, იმ პარლამენტზე რაღა უნდა თქვა. „ქართული ოცნების“ უახლოესი პარტნიორები იყვნენ და ამიტომ ვამბობ ამას. ეს არაფერს არ ცვლის.

***– რატომ? მაინც ერთპარტიულია?***

– რასაკვირველია. ასეთი ფსევდოპარტიები და წარმონაქმნები, რომელიც „ოცნებამ“ რაღაცნაირად მოახერხა და შექმნა ძებნილების, ჯეროლიმოსა და პრორუსების გაერთიანებით, ჰყავს ჩრდილო კორეის პარლამენტს, მაგრამ იქ ცოტა განსხვავებული მდგომარეობაა, მათ ოთხი პარტია ჰყავთ. ჩინეთის პარლამენტში ასეთი ცხრა პარტიაა სიმბოლურად. ულტრა, ავტორიტარულ-დიქტატორულ რეჟიმებს ჰყავთ ასეთი სახელდახელოდ შექმნილი მადიდებელი მემარჯვენე-მემარცხენე პარტიები. ამდენად, ეს არ არის ახალი მოვლენა სამყაროსთვის სამწუხაროდ. ამ ყველაფერს ისეთივე კავშირი აქვს დემოკრატიასთან და მრავალპარტიულ პლურალიზმთან, როგორც ბიძინა ივანიშვილს ბერძნულ ფილოსოფიასთან.

***– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე როგორია თქვენი პოზიცია, ვგულისხმობ გადაჯგუფებას, ახალ კოალიციებსა თუ ბლოკებს?***

– შეიძლება ცალკეული პარტიები დაჯგუფდნენ სხვადასხვა ბლოკებად. სასურველია ეს მოხდეს მათი იდეის, შეხედულებების, მსოფლმხედველობის შესაბამისად, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენ ერთად მოვიპოვოთ ახალი არჩევნები. მერე უკვე პოლიტიკურ კონკურენციას, დებატებს მართლაც ექნება აზრი.

***– შეიძლება ერთგვარი მზადებაა? თუმცა, თუ ხელისუფლება თვლის, რომ პროცესი დასრულდა.***

– ეს ბრძოლა უახლოეს მომავალში გააქტიურდება. ნურავის ექნება ილუზია, რომ ოპოზიციამ ხელი ჩაიქნია და ყველაფერი დასრულდა. წინ დიდი ბრძოლა და დიდი გამარჯვებაა. ამ ხელისუფლების ოთხწლიან მმართველობასთან შეგუება ნიშნავს ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, ვეგუებით შიმშილს, ვირუსს, სიკვდილს, უმუშევრობას, სიღატაკეს, იმ უბედურებას, რომელიც დღეს ქვეყანაში ხდება. მე არ მჯერა, რომ ქართველი ხალხი აპირებს ამ რეალობას შეეგუოს.

ხელისუფლებას დღეს ყველაზე მეტად აწყობს ის რეალობა, რომელიც ქვეყანაშია.

***– რატომ?***

– ჩუმად მყოფი, შეშინებული და სახლში გამოკეტილი ხალხი, რომელიც ვერაფერს ვერ აპროტესტებს, ნებისმიერ ხელისუფლებას აწყობს და ეს აწყობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასაც. პანდემიას ეს ხელისუფლება სათავისოდ იყენებს. სრულიად შეგნებულად მანიპულირებენ ეპიდემიით. ხელისუფლებას არ აწყობს ეპიდემიის შემსუბუქება. ამიტომაც არაფერი არ კეთდება ვაქცინაციის დასაწყებად. როგორც ირკვევა, „ფაიზერისა“ და „მოდერნას“ ვაქცინები საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი არც იქნება. შეიძლება ერთ დროს მეორეხარისხოვანი ვაქცინებით აგვცრან.

***– რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას? ცუდად მართული ეპიდემია ხომ ისევ მას დაარტყამს?***

– ივანიშვილი დღემდე ძალაუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ეპიდემიის ხარჯზე ინარჩუნებს. თან ბიზნესისა და ეკონომიკის ყველა სფეროს მაქსიმალურად იგდებს ხელში. მშიერი, სარჩოწართმეული, სახლში გამოკეტილი და გაღარიბებული ხალხი აწყობთ და ამას ვუყურებთ დღეს ჩვენ. დღეს ვხედავთ სრულ პოლიტიკურ და ბიზნესმონოპოლიზაციას და მეტს არაფერს. თუ ამ ქვეყნის მოქალაქეები ბრძოლას არ გავაგრძელებთ, ეს ნიშნავს ამ ყველაფერთან შეგუებას.

***– ხმები გამოვიდა, რომ ოპოზიციას გაზაფხულის მოლოდინი აქვს. რამდენად ადეკვატურია ასეთი მოლოდინები?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება ეს გაზაფხულამდეც კი მოხდეს. ადამიანები არ შეეგუებიან ასეთ რეალობას, შიმშილისთვის გაწირვას. დარწმუნებული ვარ, ადამიანები უკეთესი მომავლისთვის იბრძოლებენ. საკუთარი ბედნიერებისთვის იბრძოლებენ. დაუნდობელი, მოღალატეობრივი და კორუფციული პოლიტიკური რეალობის გაგრძელება დიდხანს შეუძლებელია. გარდაუვალია ვადამდელი არჩევნები. ერთპარტიული მმართველობა მრავალპარტიული მმართველობით უნდა შევცვალოთ და ეს ასეც იქნება.

# „გიორგი ახლოურმა დანა ძაღლს ესროლა, მიშო ძაღლს გადაეფარა და დანა მას მოხვდა“

## ახლოურების ტრაგედიის დეტალები

19 წლის მიშო ახლოურის მკვლელობაში ბრალდებულის, მისი 21 წლის ძმის, გიორგი ახლოურის ინტერესს საზოგადოებრივი ადვოკატი თამარ გაჩეჩილაძე იცავს.

– ახლობლები ამბობენ, რომ გიორგიმ დანა ძაღლს ესროლა, მიშო აეფარა ძაღლს და დანა მას მოხვდაო, ამ ინფორმაციას დამიდასტურებთ?

– დაახლოებით ასეთი მომენტი იყო, მაგრამ რადგან დუმილის უფლება აქვს არჩეული, დავიცვათ მისი უფლებები და დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ეს იყო შემთხვევით მოხვედრილი დანა. სასწრაფო თავად გიორგიმ გამოიძახა, 4-ჯერ დარეკა სასწრაფოში, რადგან სასწრაფო მოსვლას აგვიანებდა. სთხოვდა დროზე მოსულიყვნენ და თან იმასაც ეკითხებოდა ოპერატორს, მასწავლეთ, რითი შეიძლება ჩემს დაჭრილ ძმას დავეხმარო სასწრაფოს მოსვლამდეო.

სასწრაფომაც დააგვიანა და ეტყობა სისხლისგან დაიცალა. მძიმეა ბრალდებულის ემოციური მდგომარეობა, საუბარიც კი უჭირს, განიცდის მომხდარს. გარდაცვლილი ფეხბურთელი იყო. თვითონ ბრალდებულიც ძალიან წარმატებული ახალგაზრდაა, მას სკოლა გერმანიაში აქვს დამთავრებული. ბოლო სამი წელი გერმანიაში სწავლობდა. არაჩვეულებრივად ფლობს ენებს. მუშაობს ამჟამად გაყიდვების აგენტად და რეალიზებული, წარმატებული ახალგაზრდა იყო. არანაირი კრიმინალური წარსული მას არ აქვს.

კვირის პალიტრის ინფორმაციით, საქმეში დევს გამოკითხვის ოქმი, სადაც გიორგი მომხდარის დეტალებზე საუბრობს.

– გიორგი თურმე ამბობს, სამჯერ ვთხოვე ჩემს ძმას, ტელევიზორისთვის დაეწია, დაუწევდა, მაგრამ ისევ მაღლა უწევდა, უკვე მესამედ რომ აუწია, მივედი და ტელევიზორს ანტენა მოვაძვრე, ამის გამო წავკამათდითო. ძმების კამათი მიშოს ძაღლმა გაიგონა, რადგან ძმები ჩხუბობდნენ, ძაღლმა მიშოს დაცვა სცადა და გიორგის უყეფდა და მისკენ მიიწევდა, ძაღლის ყეფამ, ეტყობა, გააღიზიანა გიორგი, გაბრაზებულმა გიორგიმ ძაღლს მოუქნია დანა, სიბნელე იყო დერეფანში, ვერ დაინახა მიშო და ძაღლისთვის ძლიერად მოქნეული დანა შემთხვევით მიშოს მოხვდა და დაჭრა.

ბიჭების მამაც სახლში იყო ამ დროს, მაგრამ მას სხვა ოთახში ეძინა, მას არაფერი დაუნახავს და მერე დადგა ამ მძიმე ფაქტის წინაშე.

5 შვილი ჰყავთ, მშობლები ახალი გაშორებულები არიან და მიშოს დედა 3 შვილთან ერთად თავის სახლში იყო. ამ ბინაში კი მიშო და გიორგი მამასთან ერთად იყვნენ, – ამბობს ოჯახის ახლობელი.

მამა, მარად ახლოური, მომხდარის შესახებ კურიერთან საუბრობს:

– 9 საათზე, როდესაც უკვე იწყებოდა კომენდანტის საათი, მე მოვედი სახლში. მიშიკო იყო „ზალაში“, ტელევიზორი ჰქონდა ჩართული და დივანზე იყო ნახევრად გადაყუდებული. დავწექი მერე და, დაახლოებით 10 საათზე უკვე დავიძინე. უცებ ხმით მაღვიძებს მიშიკო და საძინებლის წინ დგას, მამა, მიშველე, დამჭრაო. უცებ სისხლი რომ დავინახე, არ ვიცი, რა გავაკეთე, წამოვხტი.

გიორგი სამზარეულოდან გამოვიდა და იძახდა, ცუდად ვარო. მერე გავიგე, რომ ტელევიზორის კაბელზე ყოფილა ჩხუბი. გიორგის უთქვამს, გამორთე ტელევიზორი, მეძინება და დილით წასასვლელი ვარო. არ ვიცი, რა მოხდა მაგ დროს, არ გამორთო თუ რა იყო, რა წაილაპარაკეს, მე ის არ გამიგია და არ ვიცი. რაც შევხედე, არ იყო ღრმა ჭრილობა, როგორც ჩემმა თვალმა ნახა. რატომ ჰქონდა ეს დანა და მერე აუღია დანა, რომ გადაეჭრა მიშიკოსთვის ტელევიზორის კაბელი. მანდ მოხდა შემთხვევით, მიშიკოს თავის ძაღლი ჰყავს, ამ ძაღლმა რაღაც ქნა და ამ ძაღლზე მოქნეული მოხვდა მიშიკოს.



მარად ახლოური მიშოს სიკვდილში გამომძიებლებს ადანაშაულებს.

„მთავარ არხთან“ ის ამტკიცებს, რომ დაჭრილ ახალგაზრდას გამომძიებლები ინგოროყვას კლინიკაში დიდხანს კითხავდნენ, რის გამოც სამედიცინო დახმარება დაუგვიანეს და ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

– ლაპარაკობდა, რომ ჩამოვიყვანეთ მე, გიომ და ჩემმა დისშვილმა. ბავშვი ცოცხალი მოვიყვანეთ. რანაირად, მაშინ, გზაში ხომ დაიღუპებოდა. ექიმებმა თქვეს, რომ არ გვაცადესო, ასეთი ინფორმაციაც მივიღე, თავიანთი სამსახურის გამო ბავშვი დაიღუპა, ასე გამოდის, სამსახური რომ შეესრულებინათ, გაწირეს, – ამბობს მარად ახლოური.

ინგოროყვას ექიმი უარყოფს შვილმკვდარი მამის ინფორმაციას და ამბობს, რომ მედიკოსებისთვის მკურნალობის დროს ხელი არავის შეუშლია.

მისივე თქმით, პაციენტი შეყვანიდან 7 წუთში საოპერაციო ბლოკში იყო.

ემერჯენსის ხელმძღვანელი ანა დალაქიშვილი აცხადებს, რომ პაციენტს გულ-მკერდის არეში შემავალი ჭრილობა ჰქონდა:

– პაციენტი კლინიკაში 6 იანვარს შემოიყვანეს, მას ჰქონდა შემავალი ჭრილობა გულმკერდის არეში. მისი მდგომარეობა იყო კრიტიკულად მძიმე, პაციენტს დაუყოვნებლივ ჩაუტარდა რეანიმაციული ღონისძიებები. საოპერაციო ბლოკში პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია, გულის გაკერვა, თუმცა მისი მდგომარეობა სიცოცხლესთან შეუთავსებელი იყო და 02:25 წუთზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

8 იანვარს გიორგი ახლოურს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე, რომელიც დისტანციურად გაიმართა, ბრალდების მხარე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას მოითხოვდა.

# ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელობისთვის ვასილ ჯანჯღავას ბრალი წარუდგინეს

ავჭალაში, ავტომანქანაში ჩაცხრილული ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელობის საქმეზე ბრალი შემთხვევის ადგილზე მდებარე მაღაზიის მეპატრონეს – ვასილ ჯანჯღავას წარუდგინეს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მოკლულის ოჯახის ადვოკატმა ნიკოლოზ წულეისკირმა განუცხადა.

როგორც წულეისკირი განმარტავს, ჯანჯღავას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და მას სამართალდამცავები ამ დრომდე ეძებენ. ადვოკატის თქმითვე, ჯანჯღავას ბრალი გასულ თვეს, სისხლის სამართლის კოდექსის, 236-ე და 108-ე მუხლებით წარუდგინეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ადვოკატის განცხადებით, საგამოძიებო ორგანოსთვის საქმის ირგვლივ ყველა დეტალი, ასევე ბრალდებულის ვინაობა მკვლელობიდან რამდენიმე დღეშივე იყო ცნობილი, თუმცა, წულეისკირის განმარტებითვე, ერთადერთი, რაც ამ საქმეში არავინ იცის, მკვლელობის მოტივია.

ცნობისთვის, ავჭალაში, ვალერიან ნემსიწვერიძე ავტომანქანაში ჩაცხრილული დაახლოებით, ორი თვის წინ იპოვეს. გამოძიება ორი მუხლით – 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილით, ასევე 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას და განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ვალერიან ნემსიწვერიძე წარსულში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებდა. მას 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტის დეპუტატის კახა გიუაშვილის მკვლელობის დაგეგმვას ედავებოდნენ, რომელიც საქმის ფიგურანტ დავით მინდაძეს უნდა შეესრულებინა. მოგვიანებით დავით მინდაძემ და ვალერიან ნემსიწვერიძემ საქართველოს სტრასბურში უჩივლეს. ისინი არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას ასაჩივრებდნენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მათი საჩივარი დააკმაყოფილა. ვალერიან ნემსიწვერიძე 2013 წელს, ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა.

# ვარძიაში 57 წლის ნ.ბ. მოკლეს

## დაკავებულია 30 წლის ვ.კ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და ხარაგაულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ვ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 9 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძიაში, შურისძიების მოტივით, სანადირო თოფიდან გასროლით მეზობელს – 1963 წელს დაბადებულ ნ.ბ.-ს ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# პოლიციამ იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთში ერთი პირი დააკავეს.

1990 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ რ.ც.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კალაშნიკოვის სისტემის „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 29 საბრძოლო ვაზნა.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# ჩხოროწყუში მამის მკვლელობისთვის შვილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული კ.წ. დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 8 იანვარს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეწურწუმეში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შედეგად, მამას – 1958 წელს დაბადებულ ნ.წ.-ს ცივი იარაღით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შემდეგაც იმავე დანით თვითდაზიანებები მიიყენა.

სამართალდამცველებმა კ.წ. ქუთაისში, ერთ-ერთ კლინიკაში ბრალდებულის სახით დააკავეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 877 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.




სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 877 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 104 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 773 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

# ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყის მიმდებარედ მომხდარ ჯგუფური ყაჩაღობის ფაქტზე კიდევ ერთი პირი – 1989 წელს დაბადებული ე.ჯ. დააკავეს.

ამავე საქმესთან დაკავშირებით, ასევე, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1983 წელს დაბადებული ე.გ.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ე.გ.-მ თანამზრახველ ე.ჯ.-სთან ერთად დაგეგმა მისი ნაცნობის – 1994 წელს დაბადებული ქალის ყაჩაღობა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულები მომხდარიდან მალევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დააკავა.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ყაჩაღობის გზით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ოქროს სამკაულები ამოიღეს.

ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# გონიოში სურმანიძეების სახლში აფეთქება მოხდა

## 3 ადამიანი დაშავდა

გონიოში, მირიან მეფის ქუჩაზე, 8 იანვარს, სურმანიძეების ორსართულიან საცხოვრებელ სახლში აფეთქება მოხდა.

3 პირი დაშავდა. დაშავებულთა შორის თურქეთის მოქალაქეცაა, რომელიც სახლში მდგმურად იმყოფებოდა, ის კლინიკა „ბიემსიში“ შოკური ტრავმით შეიყვანეს.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სამივე სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა. ერთი პირი უკვე გაწერილია. ერთის მდგომარეობა კი მძიმეა, მას 3-4 მოტეხილობა აღენიშნება.

როგორც ერთ-ერთი დაშავებული ამბობს, სავარაუდოდ, ოთახში გამათბობელი აფეთქდა. მისივე თქმით, სანამ შემთხვევა მოხდებოდა, მან და მისმა მეუღლემ სპეციფიკური სუნი იგრძნეს, რის გამოც გარეთ გამოვიდნენ და გაზის შემოწმება დაიწყეს.

აფეთქებას ძალიან დიდი ხმა ჰქონდა, როდესაც სახლის მეპატრონე კიბეზე ადიოდა, კიბე ჩატყდა და დაშავებულმა მრავლობითი დაზიანება სწორედ ამის გამო მიიღო.

ხანძრის ჩაქრობის დროს ასევე დაშავდა მეხანძრე-მაშველი. ის მეორე სართულიდან ჩამოვარდა.

სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა დაშავებული მეხანძრე კლინიკა „მედინაში“ გადაიყვანა.



# ჯო ბაიდენი: „ტრამპი ამერიკის სირცხვილია“

6 იანვარს კაპიტოლიუმში, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება ოფიციალურად უნდა დაემტკიცებინათ, მოქმედი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, მომხრეები შეიჭრნენ.

უწესრიგობების გამო კონგრესის სხდომა შეწყდა, შენობიდან კონგრესმენთა ევაკუაცია განხორციელდა, კაპიტოლიუმში კი ნამდვილი საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდა, რის შედეგადაც 4 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე ათეული კი დაშავდა.

რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციამ ვითარების სტაბილიზება შეძლო და კონგრესის სხდომა განახლდა.

საბოლოოდ, კონგრესმა 2020-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება ოფიციალურად დაადასტურა.

10 იანვარს ტვიტერმა დონალდ ტრამპის ანგარიში სამუდამოდ დახურა. კომპანიაში აცხადებენ, რომ პრეზიდენტის ანგარიშის დახურვის გადაწყვეტილება „ძალადობის შემდგომი წაქეზების რისკის“ გამო მიიღეს.

„ტრამპის ანგარიშზე ბოლო დროს განთავსებული ტვიტებისა და მათ გარშემო არსებული კონტექსტის ზედმიწევნით განხილვის შემდეგ, ძალადობის შემდგომი წაქეზების რისკის გამო ანგარიში სამუდამოდ დავხურეთ,“ – ნათქვამია ტვიტერის განცხადებაში.

მანამდე კომპანიამ დონალდ ტრამპის ანგარიში 12 საათით დაბლოკა, თუმცა, მას შემდეგ რაც მოქმედ პრეზიდენტს პოსტების განთავსების საშუალება ისევ მიეცა, შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „75.000.000 დიდ ამერიკელ პატრიოტს, რომლებმაც ხმა მომცეს მე, მომავალში დიდხანს ექნებათ უზარმაზარი ხმა. მათ უპატივცემულოდ და უსამართლოდ არანაირად, არანაირი ფორმით და გზით არ მოექცევიან!!!“

ტვიტერის ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული ტვიტი „განიმარტება, როგორც კიდევ ერთი მინიშნება, რომ პრეზიდენტი ტრამპი არ გეგმავს ხელი შეუწყოს ძალაუფლების მოწესრიგებულად გადაცემას“.

ამასთან, კომპანიაში მიიჩნევენ, რომ მოქმედი პრეზიდენტის ტვიტი, სადაც ის აცხადებს, რომ ინაუგურაციას არ დაესწრება, შესაძლოა მისმა მხარდამჭერების ნაწილმა აღიქვას როგორც კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმური იყო.

– ამაში მე და ტრამპი ერთმანეთს ვეთანხმებით, – ასე შეაფასა ბაიდენმა ტრამპის განცხადება ინაუგურაციაზე არდასწრების შესახებ.

– კარგია, თუ არ გამოჩნდება, – უთხრა ბაიდენმა 8 იანვარს ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე კაბინეტის წევრების წარდგენის შემდეგ.

– მან გადააჭარბა ჩემს ყველაზე ცუდ წარმოდგენასაც კი მის შესახებ. ის ქვეყნის სირცხვილია, მთელ მსოფლიოში შეგვარცხვინა, არ იმსახურებს ამ თანამდებობის დაკავებას, – დასძინა ბაიდენმა.

მან აღნიშნა, რომ მოხარულია ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის გადაწყვეტილებით, რომ ინაუგურაციას დაესწროს.

ვაშინგტონში ბაიდენის ინაუგურაცია 20 იანვარსაა დაგეგმილი.

# მაიკ პომპეო: „ფატუ ბენსუდა კორუფციაშია ჩართული“



აშშ-ის მოქმედი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ პროკურორს, ფატუ ბენსუდას კორუმპირებულ ქმედებებში მონაწილეობაში სდებს ბრალს.

აღნიშნულ განცხადებას პომპეო „ტვიტერის“ მეშვეობით ავრცელებს.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის კორუმპირებული, პოლიტიზებული და არაკომპეტენტური. მთავარი პროკურორი ფატუ ბენსუდა ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას, პირადი სარგებლის მიზნით ის ჩართულია კორუმპირებულ ქმედებებში და გაფლანგა მილიონები ამერიკელი სამხედროების სისხლის სამართლის მავნებლური დევნით“ – წერს სახელმწიფო მდივანი.

გასული წლის სექტემბერში აშშ-მა ფატუ ბენსუდას სანქციები დაუწესა, რისი მიზეზიც პროკურორის მიერ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე გამოძიების დაწყება გახდა.

# ინდონეზიაში ჯაკარტა-პონტიანაკის ბორტი ჩამოვარდა

## ზღვაში ბორტის ნარჩენები იპოვეს



9 იანვარს ინდონეზიური ავიაკომპანიის სამგზავრო თვითმფრინავი, „ბოინგ 737-500“, რომელიც ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტადან აფრინდა, რადარებიდან გაუჩინარდა. თვითმფრინავი ინდონეზიის დასავლეთ კალიმანტანის პროვინციის ქალაქ პონტიანაკისკენ მიფრინავდა, როდესაც მასთან სიგნალი დაიკარგა.

მოგვიანებით თვითმფრინავის ნამსხვრევები მეთევზეებმა ჯაკარტას ჩრდილოეთით ზღვაში აღმოაჩინეს.

თვითმფრინავში 62 ადამიანი იმყოფებოდა – 56 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი. მგზავრებს შორის 10 ბავშვი იყო.

10 იანვარს მაშველებმა შავი ყუთიც იპოვეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცმა მოლარის რჩევას ყური უგდო და მოგებული დარჩა



ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ ჰასტინგსის მკვიდრი მოლარის რჩევას ენდო ლატარიის ბილეთის შეძენის დროს და ჯეკპოტი მოხსნა.

ავსტრალიელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განმარტა, რომ ყოველ კვირას ყიდულობს ტატსლოტოს ლატარიის ბილეთს მეუღლისთვის, შემდეგ კი მოლარეს სთხოვს, რომ შეურჩიოს მომენტალური ლატარიის ბილეთი, რათა საერთო გადასახდელმა თანხამ 10 ავსტრალიური დოლარი შეადგინოს.

შედეგად Christmas Wishes-ის გათამაშების ბილეთმა, რომელიც მამაკაცს მოლარემ შეურჩია, 25 ათასი ავსტრალიური დოლარის მოგება მოუტანა.

გათამაშების გამარჯვებულმა აღნიშნა, რომ მოგება მას საშუალებას მისცემს, დამატებითი საშობაო საჩუქრები შეიძინოს შვილიშვილებისთვის. გარდა ამისა, აპირებს გააუმჯობესოს 2021 წლისთვის მეუღლესთან ერთად დაგეგმილი მოგზაურობა ახალ ზელანდიაში.

# სამსახურდაკარგულმა მამაკაცმა ტრაქტორით მანქანებს გადაუარა



ესპანეთში მერსედეს-ბენცის ქარხნის ყოფილმა თანამშრომელმა სამსახურიდან თანამშრომლების მასობრივი გათავისუფლების პროტესტის ნიშნად ამავე მარკის 50-ზე მეტი ავტომობილი გაანადგურა.

38 წლის მამაკაცმა გაიტაცა მძიმე ტრაქტორი, შეანგრია ესპანეთის ქალაქ ვიტორია-გასტეისში მდებარე მერსედეს-ბენცის ქარხნის ეზოში შესასვლელი ჭიშკარი და იქ მდგარ ავტომობილებს დაერია.

მამაკაცის მოქმედების შედეგად გერმანული მარკის ავტომობილების ქარხანა ახალი წლის წინა ღამით დაზარალდა. ქარხანა მერსედესის კომერციულ სატვირთო ავტომობილებს, მინივენებსა და მათ მოდიფიკაციებს აწარმოებს. მერსედეს-ბენცის ქარხანამ ამ ინციდენტის შედეგად ორ მილიონ ევროზე მეტი იზარალა.

აღსანიშნავია, რომ მამაკაცს ქარხნის ავტომობილების ასაწყობი ხაზის განადგურებაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრო. ამაში ხელი ადგილობრივმა სამართალდამცავებმა შეუშალეს, რომლებმაც მამაკაცი დააპატიმრეს.

# პატრონებმა ძაღლი ლეოპარდისგან პეტარდებითა და ჯოხებით იხსნეს



ინდოეთის მახარაშტრას შტატში პატრონებმა გადაარჩინეს ძაღლი, რომელსაც ლეოპარდი დაესხა თავს.

დილით ადრე 60 წლის ფერმერს აშოკ ბხადეს ეზოდან თავისი დობერმანის ჯიშის ძაღლის, სახელად საგიბის ხმამაღალი ყეფა შემოესმა. მართალია, ბხადე გადაადგილებას მხოლოდ ყავარჯნების დახმარებით ახერხებს, მაგრამ ის მაინც გავარდა გარეთ ძაღლის დასახმარებლად. მას თან ორი ნათესავიც გაჰყვა. მათ შენიშნეს ლეოპარდი, რომელსაც პირი ძაღლისთვის კისერში ჩაევლო და მდინარისკენ მიათრევდა.

მამაკაცები მტაცებელს გამოეკიდნენ, ჯოხებს ურტყამდნენ და პეტარდებს ესროდნენ, სანამ ლეოპარდმა მსხვერპლს პირი არ გაუშვა და შაქრის ჭარხლის ნათესებში არ მიიმალა. ბხადემ და მისმა ნათესავებმა დაშავებული ძაღლი ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანეს. მტაცებელთან დაპირისპირების შედეგად შინაურ ცხოველს კისრის, მუცლისა და კიდურის არეში დაზიანებები აღენიშნებოდა.

– საგიბს უკვე მეორედ დაესხა თავს ლეოპარდი, – განაცხადა ფერმერმა, – 2018 წელს მან ლეკვები გადაარჩინა, როდესაც ლეოპარდს ზურგზე დაახტა. მაშინ მან ერთ-ერთი თათი სერიოზულად დაიზიანა.

# იატაკქვეშა წვეულების მონაწილეებმა ბრიტანული ეკლესია დაარბიეს



დიდ ბრიტანეთში იატაკქვეშა საახალწლო წვეულების მონაწილეებმა 500 წლის ისტორიული ეკლესია დაარბიეს.

ბრიტანელებმა ეკლესიას დაახლოებით ათასი ფუნტი სტერლინგის ზარალი მიაყენეს. მათ დაამტვრიეს ეკლესიის ფანჯარა, ასევე მთელი შენობა ნაგვით აავსეს. აღნიშნული ეკლესია არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს და მისი შეკეთება საკმაოდ ძვირი დაჯდება.

პოლიციის ინფორმაციით, სამართალდამცავებს, რომლებიც მათ დაშლას შეეცადნენ, საახალწლო რაკეტებს ესროდნენ, თუმცა მათ მაინც მოახერხეს წვეულების შეწყვეტა. წვეულების ორგანიზატორებს 18 ათასი ფუნტი სტერლინგის ჯარიმა გამოუწერეს. გარდა ამისა, სამი მამაკაცი ნარკოტიკების მოხმარების და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააპატიმრეს.

# მეთევზემ ზღვაში 30 კილოგრამზე მეტი კოკაინი დაიჭირა



ამერიკის ფლორიდის შტატში მეთევზემ თევზაობის დროს 33,7 კილოგრამი კოკაინი იპოვა.

მეთევზემ ზღვაში მოტივტივე ნარკოტიკების შიგთავსიანი შეკვრები იმ დროს შენიშნა, როდესაც კუნძულ შუგალოუფ-კის სანაპირიდან 24 კილომეტრში თევზაობდა. კოკაინი დაპრესილი იყო წყალგაუმტარ პინგვინის გამოსახულებიან ბრიკეტებში, მულტფილმიდან „მადაგასკარი“.

მამაკაცი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა შერიფის თანაშემწეს და ნარკოტიკების პოვნის თაობაზე აცნობა. ყველა აღმოჩენილი შეკვრა წყლიდან იქნა ამოღებული და სამართალდამცავთა ნავში იქნა მოთავსებული. ვინაიდან კოკაინი ფედერალურ წყლებში იქნა აღმოჩენილი, ის შემდეგ აშშ-ის სასაზღვრო კონტროლის სამსახურს გადაეცა.

# ბელგიელმა მერმა საახალწლო ინტერვიუ ტრუსებში გამოწყობილმა მისცა



ბელგიის ქალაქ ანტვერპენის მერმა ბარტ დე ვევერმა საახალწლო ინტერვიუ პერანგსა და ტრუსში გამოწყობილმა მისცა.

აღსანიშნავია, რომ დე ვევერმა პირდაპირ ეთერში ინტერვიუ ტელეარხ რადიო 2-ს მისცა იმის იმედით, რომ მისი სხეულის ქვედა ნაწილი არ გამოჩნდებოდა. კამერა მისი სხეულის მხოლოდ ზედა ნაწილს იღებდა, თუმცა კადრში შემთხვევით მოხვდა სარკე, რომელშიც ქალაქის მერის შიშველი ფეხები აირეკლა.

– ძალიან ლამაზი პერანგი გაცვიათ, ალბათ ის საგანგებოდ ჩვენთვის ჩაიცვით, მაგრამ ნუთუ მის ქვევით მხოლოდ საცვლებში ხართ გამოწყობილი? – შენიშნა დე ვევერის შეცდომა წამყვანმა კიმ დებრიმ. მან აღიარა, რომ შეცდა და ვერ გაითვალისწინა, რომ სარკის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. მერმა იქვე აღნიშნა, რომ 2021 წელი მისთვის უსიამოვნო მომენტით დაიწყო, რომელიც დიდხანს ემახსოვრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გელა ჩარკვიანი ახალგაზრდებს სიფხიზლისკენ მოუწოდებს



ყოფილი დიპლომატი გელა ჩარკვიანი ახალგაზრდებს რეკომენდაციით მიმართავს და მაქსიმალური სიფხიზლისკენ მოუწოდებს:

– ჩვენი ახალგაზრდები ფხიზლად უნდა იყვნენ, იმისათვის, რომ არ დაკარგონ ჩვენი ორი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი – საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფალი საზოგადოება.

ისეთი არავინ უნდა წამოისკუპონ თავზე, ვინც შეძლებს საქართველო ისევ შეათრიოს სადღაც და ამ გზით გააუქმოს ქვეყნის სუვერენიტეტი. ფხიზლად უნდა იყვნენ, მაგრამ, იმისთვის, რომ არ მოტყუვდნენ, უნდა იყვნენ განათლებულები.

პოლიტიკოსები იოლად ატყუებენ მათ, ვინც საკმარისად განათლებული არ არის. უნდა იკითხონ რაც შეიძლება მეტი და თავის პროფესიულ ლიტერატურასთან ერთად, ვურჩევდი კარგად შეისწავლონ ისტორია და პოლიტიკური ფილოსოფია. უნდა იცოდნენ სახელმწიფოს მოწყობის მოდელები და ის, თუ როგორ ფუნქციონირებს დემოკრატია.

ასე გამოუმუშავდებათ იმუნიტეტი ყოველგვარი სოციალური თუ სხვა ტიპის დემაგოგიის წინააღმდეგ. ამგვარად, ჩვენ არა მარტო შევინარჩუნებთ ჩვენს მონაპოვარს, არამედ გავზრდით და განვავითარებთ მას.

# რეზო შატაკიშვილს ნინო კასრაძემ რუსეთში წასვლა გადააფიქრებინა



რეჟისორი რეზო შატაკიშვილი მსახიობ ნინო კასრაძის რჩევას იხსენებს და აცხადებს, რომ რუსეთში წასვლა სწორედ მან გადააფიქრებინა:

– ყველა პრიმა არაა და ნოვოსიბირსკის დასს არ ჩააბარებენ.

მაგრამ ამ გახსენებაზე.

2012 წელი იყო. მოსკოვის სამხატვრო თეატრი და მეიერჰოლდის ცენტრი აცხადებდა მაგისტრატურაში მიღებას. იქ სწავლობდა ჩემი მოლდოველი მეგობარი. დამიკავშირდა და მითხრა, რომ დაინტერესებული იყვნენ მიეღოთ ვინმე ახალგაზრდა რეჟისორი საქართველოდან, რომ მან შესთავაზა ჩემი კანდიდატურა, აუხსნა, რომ კიშინოვში ნანახი ჰქონდა ჩემი სპექტაკლები ფესტივალზე ჩატანილი „მინის სამხეცე“, იქ, ნაციონალურ თეატრში დადგმული „პიკნიკი ბრძოლის ველზე“ და რეკომენდაციას მიწევდა. მოლდოველმა მეგობარმა მითხრა, რომ დაინტერესდნენ და გამომიგზავნა ლინკი, სადაც იყო პირობები:

1. ბინით უზრუნველყოფა მათ კუთვნილ საერთო საცხოვრებელში. უფასოდ.
2. ორჯერადი კვება. უფასოდ.
3. მოსკოვის თეატრებში სპექტაკლებზე დასწრება. უფასოდ.
4. სტიპენდია. არც თუ ურიგო.

მეგობარმა მითხრა, რომ კონკურსი თითქმის ფორმალური იქნებოდა – ვინაიდან მათთვის გადამწყვეტი იყო ის, რომ მე ვიყავი რობერტ სტურუას მოწაფე – დამთავრებული მქონდა მაგისტრატურა – რობერტ სტურუას ჯგუფი.

მოკლედ, ჩემზე ერთი რამე იყო დამოკიდებული, მომეხვია ხელი საბუთებისთვის, მომეკიდა ზურგჩანთა და წავსულიყავი იმ საქართველოდან, სადაც:

– არც ბინა მქონდა და თვეში 200 დოლარს ვიხდიდი, რომ ორთაჭალაში, ნაქირავებში მეცხოვრა.

– არც უფასოდ მაჭმევდა ვინმე და არც უფასოდ მიშვებდნენ თეატრებში, რუსთაველის თეატრის გარდა.

ბევრი მირჩევდა, რომ წავსულიყავი, ზოგი – დაფიქრებას.

მხოლოდ ნინო კასრაძემ მითხრა – არ წახვიდე!

ოკუპანტ ქვეყანაში არ უნდა წახვიდე.

მე ძალიან კარგად ვიცოდი, რა პერსპექტივასაც მისახავდა იქ წასვლა – როგორც განათლების მიღების, ისე მისი გამოყენების ასპარეზის თვალსაზრისით. კარგად ვაცნობიერებდი, რომ იქ წასვლის შემთხვევაში მატერიალურად ბევრად უკეთ ვიცხოვრებდი, მაგრამ კარგად ვხვდებოდი იმ კონტექსტსაც, რის გამოც იყო მათთვის საინტერესო და რისთვისაც სჭირდებოდათ სტუდენტი საქართველოდან და არ წავედი ოკუპანტთან.

მე, ერთი რიგითი მოქალაქე და რიგითი რეჟისორი, არ წავედი – უარი ვთქვი მსოფლიოში სახელგანთქმულ მოსკოვის სამხატვრო თეატრში მოხვედრაზე და შენ, ნინო ანანიაშვილი რომ ხარ – მოსიარულე ლეგენდა, რამ გაიძულა, ნოვოსიბირსკში რომ გადაპრიჟოკდი?

რა დაგაკლო სამშობლომ?

პ.ს: რაც არ პრავდება, არ პრავდება. ნუ შემომივარდებით აქ „რადიოზე“ დაყენებული ტექსტებით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბარსელონა დიდი ამბების მოლოდინშია

ესპანურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ამ მომენტისათვის ბარსელონას პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ოფიციალურად დასარეგისტრირებლად ხელმოწერათა შესაბამისი რაოდენობა მხოლოდ 2 მათგანს აქვს შეგროვებული.

ის ორი კანდიდატი ჟოან ლაპორტა და ვიქტორ ფონტი არიან, რომლებიც ფავორიტებად ითვლებიან.

ტონი ფრეიშას განცხადებით, მას ხელმოწერები უკვე შეგროვებული აქვს და ოფიციალურ სახეს მცირე ხანში მისცემს.

ზოგადი ცნობების მიხედვით კი, ჟორდი ფარე და ემილი რუსო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ბენედიტო და ვილახოანა კი ხელმოწერათა მობილიზების შანსს ისევ ინარჩუნებენ, შესაბამისად, მათი კანდიდატურებიც მომავალში განხილვას ექვემდებარება.

ცნობილმა ესპანურმა სპორტულმა გამოცემამ, მუნდო დეპორტივომ, წინასაარჩევნო გამოკითხვა ჩაატარა.

შედეგების მიხედვით, ბარსელონას 2021 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგების ფავორიტი კლუბის ყოფილი ხელმძღვანელი ჟოან ლაპორტაა, რომელსაც სხვა კანდიდატებთან შედარებით საგრძნობლად დიდი უპირატესობა აქვს.

ლაპორტას მხარს გამოკითხულთა 52.3% უჭერს, მეორე ადგილზე ვიქტორ ფონტია, რომელსაც ხმების 13.2% ერგო.

17.2%-ს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ხმების დარჩენილი ნაწილი კი იმ კანდიდატებზე გადანაწილდა, რომლებსაც გამარჯვების რეალური შანსი არ აქვთ: ემილი რუსო – 3.2%; აგუსტი ბენედიტო – 2.7%; ხავი ვილახოანა – 2.7%; ტონი ფრეიშა – 2.3%; 2%-ზე ნაკლები: ჟორდი ფარე, პერე რიერა, ლუის ფერნანდეს ალა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბარსელონას ექსპრეზიდენტი ხოსეპ მარია ბართომეუ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის ჟოან ლაპორტასთვის მიცემას აპირებს.

ჟურნალისტები წერენ, ამის მიზეზი არა ლაპორტას მიმართ სიმპათია, არამედ იმის სურვილია, რომ არჩევნები ფონტმა არ მოიგოს.

საქმე ის არის, რომ ფონტი ერთადერთი კანდიდატია, რომლის გამარჯვება ბართომეუსა და მის თანამოაზრეებს კატეგორიულად არ სურთ. ჰოდა, ბართომეუს გუნდი მზად არის, მხარი მის ნებისმიერ მეტოქეს დაუჭიროს. მოახლოებულ არჩევნებში კი, ფონტზე მეტი ხმის დაგროვების რეალური შანსი მხოლოდ ლაპორტას აქვს.

ყველაფრის მიზეზი ის სკანდალია, რომელმაც წინა ხელმძღვანელობის იმიჯი მნიშვნელოვნად დააზიანა.

როგორც იცით, ბართომეუს ბორდის მიერ იყო დაფინანსებული კამპანია, რომლის საშუალებითაც კლუბი ლიონელ მესის, ხერარდ პიკეს, ხავი ერნანდესისა და კლუბის სხვა ლეგენდების დისკრედიტაციას ცდილობდა. ამ სკანდალს ფონტის მიერ ბართომეუს მისამართით ღია შეტევა მოჰყვა, პროცესი კი უნდობლობის მოძრაობის დაწყებით გაგრძელდა და ხელმძღვანელობის გადადგომით დასრულდა.

მართალია, ფონტის შანსები ნაკლებია, ვიდრე ლაპორტასი, მაგრამ საარჩევნო კამპანიის მიწურულს ფონტი განსაკუთრებით გააქტიურდა და მის უმთავრეს სტრატეგიად ბარსელონაში მწვრთნელად ხავის მიყვანა იქცა.



**ვიქტორ ფონტი:**

– ხავის მიმართ ჩვენნაირად ნდობა არავის გამოუცხადებია. ზოგი საუბრობს, რომ მას არ აქვს გამოცდილება და ჯერ ბ გუნდი უნდა გაწვრთნას, ზოგს კი იურგენ კლოპი ურჩევნია. ნებისმიერ შემთხვევაში, თითოეული ჩვენგანი თავის პროექტს ახსნის, განიხილავს და მის მიერ გაწეულ სამუშაოს არ უგულებელყოფს. რაც შეეხება ზოგადად ბარსელონას, როგორც ესპანეთის მხარეს და მის განვითარებას, ეს გადაუდებელი საკითხია. ამის შესახებ ჩვენ აუდიტს მოვიწვევთ, განვიხილავთ გოლდმენის მოდელს და გაცნობის შემდეგ, რეფერენდუმის გზით გულშემატკივარი თავად გადაწყვეტს, თუ რამდენად მომგებიანი და სარფიანია ეს კლუბისათვის. პირველი 12 თვის განმავლობაში პრიორიტეტი უბრალოდ კლუბის გადარჩენა იქნება. შემდგომში კი სესხები უნდა გადაიხედოს და წლიური ბიუჯეტი განისაზღვროს, რათა საწყისი სახელფასო ფონდი დავადგინოთ.

ცხადია, ხავის გარდა ბარსელონელებისთვის მთავარი თემა ლეო მესია. ფონტს პასუხი ამაზეც აქვს:

– უღალატა თუ არა ბარსელონამ მესის? ფაქტია, რომ ჩვენ წინაშეა აშკარა შეუსაბამობები, რაც კლუბის ახლანდელი დირექტორატის არასწორი მუშაობის შედეგია. დღეს ეს ხალხი ცდილობს თავისი შეცდომები დამალოს. ის, რაც დღეს ბარსელონაში ხდება, არის კარგი მაგალითი იმისა, რომ კლუბის ისტორიისთვის საჭიროა ყოველთვის ყველაფერი სწორად გაკეთდეს. ეჭვი არ მეპარება, რომ მესიმ წასვლა ცხელ გულზე არ გადაწყვიტა. მას ამაზე დიდი ხნის ნაფიქრი ექნება. რასაკვირველია, იმედი მაქვს, რომ ის გადაიფიქრებს, მაგრამ ამის გამკეთებელს არ ჰგავს და რაკი ასეა, ჩვენ, ჩვენი მხრივ, ღირსეულად უნდა მოვიქცეთ; ისე, როგორც მესის ეკადრება.

ფონტმა ასევე ბარსელონას ყოფილი პრეზიდენტის, სანდრო როსელის შესახებ ისაუბრა:

– ის არის ადამიანი, რომელსაც ბარსას სამყაროში უდიდესი გამოცდილება აქვს. მასთან შეხვედრის მიზანი უშუალოდ გაცნობითი იყო. მინდა, რომ სცოდნოდა, თუ ვინ ვართ. ის ყოფილი პრეზიდენტია და ჩვენი გაცნობა მნიშვნელოვნად ჩავთვალე.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონას საპრეზიდენტო არჩევნები 24 იანვარს გაიმართება.

# ბასილაშვილმა მოგებები დაიწყო

როგორც იქნა ნიკოლოზ ბასილაშვილმა გამარჯვებების გემო გაიხსენა. ბოლოს ჩვენებურმა 10 თვის წინ იმარჯვა დევისის თასზე, ხოლო ატპ-ს ტურნირებზე 2020 წლის 25 თებერვლის მერე არ მოეგო. ზედიზედ 11 მარცხის შემდეგ კი, ანთალიაში იტალიელ ანდრეა არნებოლდს მოუგო – 4:6, 7:5, 6:1.



რეიტინგში მე-40 ჩოგანი ბასილაშვილი ტურნირზე მე-6 ნომრად არის განთესილი და მეტოქესთან ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ძალიან გვანერვიულა და აპენინელს გამარჯვება ცხვირწინ ააცალა.

პირველ სეტში ჩოგბურთელებმა 6 გეიმი თანაბრად გაიარეს, მეშვიდეში ბასილაშვილმა საკუთარი მოწოდება წააგო, მართალია მერვეშივე დაიბრუნა, მაგრამ მეცხრეც მეტოქეს დაუთმო, რასაც საბოლოოდ იტალიელის გამარჯვება მოჰყვა – 6:4.

მეორე სეტშიც პირველი ბრეიკი აპენინელმა გაახერხა და 2:1 დაწინაურდა. ბასილაშვილმა უკუბრეიკი ამჯერადაც იქვე შეასრულა, მაგრამ მომდევნო მოწოდება ისევ დათმო. ნიკოლოზმა ბოლომდე იბრძოლა და როდესაც მეტოქე მატჩზე აწვდიდა, სწორედ მაშინ გაათანაბრა – 5:5.

შემდეგ ქულებს უკვე მხოლოდ ნიკოლოზი იხვეჭდა: ჯერ მეორე სეტი მიიყვანა გამარჯვებამდე – 7:5, ხოლო მესამე სეტში სულაც 5:0 დაწინაურდა, მერე კი მატჩის მოგება უკვე იოლი საქმე იყო.

ბასილაშვილის შემდეგი მეტოქე თურქი ალტუგ ჩელიკბილეკი (309-ე) იყო და მასაც აჯობა – 7:6, 6:4.

პირველ სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა ტაიბრეიკზე იმარჯვა, მეორეში კი უფრო მარტივად მოიგო. ჩოგბურთელებმა ერთმანეთში რამდენიმე ბრეიკი გაცვალეს, რაც თვალში არცთუ კარგად მოსახვედრი საკითხია, რადგან მეტოქეც არ იყო ისეთი დონის, რომელსაც ჩოგბურთელმა 5 ბრეიკი უნდა დაუთმოს.

მით უმეტეს, რომ ბასილაშვილს მეოთხედფინალში უკვე სერიოზული მეტოქე ჰყავს – ახალგაზრდა ავსტრიელი ალექს დე მინორი, რომელიც რეიტინგში 23-ე გახლავთ. ქართველ ჩოგბურთელს 21 წლის ალექსთან აქამდე არასდროს უთამაშია და მეტოქეები კორტზე პირველად შეხვდებიან.

გეტყვით იმასაც, რომ ბასილაშვილი წყვილებშიც გამოდის, სადაც გერმანელ ანდრე ბეგემანთან ერთად პირველი ეტაპი უკვე გაიარა და ასევე მეოთხედფინალში პირველი განთესვის მქონე ხორვატულ წყვილს – ნიკოლა მეტკიჩსა და მატე პავიჩს დაუპირისპირდება.

# შერმადინი ესპანეთის მეფეა



2020 წლის მეფე – ასე უწოდა ესპანურმა მედიამ გიორგი შერმადინს და ქართველი კალათბურთელი ლიგაში ყველაზე სასარგებლო კალათბურთელად მიიჩნია.

ვნახოთ რა წერია ესპანეთის საკალათბურთო ლიგის ვებგვერდზე:

– გასული წლის საუკეთესო კალათბურთელი გიორგი შერმადინი იყო, რომელმაც ისეთ სახელოვან კონკურენტებს აჯობა, როგორებიც ვალტერ ტავარესი, მარსელინიო უერტასი და ნიკოლა მიროტიჩი არიან. შერმადინი გამორჩეული იყო სარგებლიანობის ჯამური კოეფიციენტის მიხედვით, ქულებში კი იდენტური მაჩვენებელი ჰქონდა მიროტიჩთან. სწორედ ამ ორმა ფაქტორმა გადასწონა ტავარესის გარჯა, რომელიც პირველი გახლდათ მოხსნებში, მოედანზე გატარებული წუთებით, მოგებებსა და დაფარებებში.

შერმადინის ჯამური სარგებლიანობოს კოეფიციენტი 592 იყო, მის უკან კი ხსენებული ტავარესი (579) და მიროტიჩი (547), აგრეთვე ფაკუნდო კამპაცო (496) და ბოიან დუბლევიჩი (433) აღმოჩნდნენ.

2020 წლის განმავლობაში აღებული ქულების მიხედვით, ქართველ ცენტრსა და მიროტიჩს იდენტური მაჩვენებლები ჰქონდათ – 453 ქულა. მათ ჩამორჩნენ დილან ენისი (443), კლემენ პრეპელიჩი (418) და დარიო ბრისუელა (415).

მოხსნებში საუკეთესო ტავარესი (257) იყო, მაგრამ შერმადინი აქაც ლიდერებში ტრიალებდა – 185 მოხსნით გიორგი მე-3 პოზიციაზე აღმოჩნდა და მურსიას ბრაზილიელ ლეგიონერ აუგუსტო ლიმასაც ჩამორჩა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცი დათვრა და სელინ დიონი დაირქვა



ცნობილი მომღერლის სელინ დიონის ბრიტანელი თაყვანისმცემელი ტელევიზორში მისი გამოსვლის ყურების დროს ძალიან დათვრა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მან მიიღო წერილი შეტყობინებით, რომ მან სახელი ტომას დოდი სელინ დიონით შეიცვალა.

30 წლის სასტუმროს მენეჯერს არ ახსოვს, თუ როგორ შეიცვალა სახელი. მან ამ პროცედურაში 89 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, შემდეგ კი კიდევ რვა ცალი 10–ფუნტიანი სერტიფიკატი შეიძინა, რომლებიც მის ახალ სახელს ადასტურებენ. თავდაპირველი გაოგნების შემდეგ ბრიტანელმა აღნიშნული სიტუაცია სამხიარულოდ ჩათვალა.

– ლოკდაუნის დროს უამრავ ლაივ-კონცერტს ვუყურებდი. ვფიქრობ, რომ მის ერთ-ერთ გამოსვლას ვუყურებდი, როდესაც „შესანიშნავი იდეა“ დამებადა, რა თქმა უნდა, რამდენიმე ჭიქის შემდეგ, – აღიარა ახლად გამომცხვარმა სელინ დიონმა. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი პირველი შიში უკავშირდებოდა სამსახურის კადრების განყოფილების წინაშე თავის მართლების აუცილებლობას და ელექტრონულ ფოსტაში ხელმოწერის შეცვლას.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელი ჯერჯერობით ძველი სახელის და გვარის დაბრუნებას არ ფიქრობს.

# ირემმა ლომი გააცურა და გაექცა



ირემმა ლომი გააცურა, მკვეთრად შეცვალა მიმართულება და მტაცებელს დაუსხლტა. აღნიშნული შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ინდურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღნიშნული ვიდეო სოციალურ ქსელებში ვირუსული გახდა. კონკრეტულად სად და როდის იქნა გადაღებული აღნიშნული კადრები, უცნობია. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ირემი წყალს სვამს და ამ დროს მას მოულოდნელად ლომი თავს ესხმის.

ირემი ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოსდა ერთი მიმართულებით აპირებს გაქცევას, მაგრამ უცბად მკვეთრად იცვლის მიმართულებას. მტაცებელი რეაგირებას ვერ ასწრებს და პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სოფლის შარაგზა; 5. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 10. ზღვის დიდი ათფეხა-ჯავშნიანი კიბორჩხალა; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. მევენახეობა-მეღვინეების ოლქი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 20. გარეული ცხოველი – მადრიდის სიმბოლო.

**თარაზულად:** 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 8. ცხოვრებისეული მოვლენების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა, მატიანე; 9. მსოფლიო კულტურულ-მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 13. აეროპორტი თელ-ავივში; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრუდენციაში სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, სარგებლობა მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 21. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 22. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა მეტსახელი ძველად ევროპაში; 24. კამათის, პაექრობის ხელოვნება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბატერფლაი; 2. დიუპონი; 3. ვერიკო; 4. მანგო; 5. ელარჯი; 11. გვრინი; 12. აგუერო; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყაპუჭი; 19. ტროტილი; 21. სკოტი; 22. ფეტვი.

**თარაზულად:** 6. მაკარიძე; 7. სტაპელი; 8. გაყრა; 9. ორფოლო; 10. კონგო; 13. ბარჯი; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყაჭი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ჭყურტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იმერეთი; 3. კლოუნადა; 4. აეროსტატი; 5. ბრიჯი; 6. ირბისი; 8. აგენტი; 11. კოლუმბო; 14. აბასთუმანი; 15. მიქატაძე; 16. სტრაბიზმი; 17. ვარძია; 19. ღრუბელი; 21. კარნო; 22. პლაცი.

**თარაზულად:** 1. დისკუსია; 5. ბონი; 7. სპაზმი; 9. რეკონვერსია; 10. ბუკლეტი; 12. ქსილიტი; 13. ატაკამა; 16. სიბარიტი; 17. ვაცი; 18. ალაზა; 20. მათუსალა; 22. პრადო; 23. აბატისა; 24. ზედაშე; 25. ნეონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 იანვარი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.3035 | ევრო — 4.0428 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4885 | 100 რუსული რუბლი — 4.4384 |

## ამინდის პროგნოზი 11 იანვრისათვის




## რეალი ისკოს და იოვიჩის გაშვებას აპირებს




მადრიდის რეალი იანვარში რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს და წასვლის მთავარი კანდიდატები ლუკა იოვიჩი და ისკო არიან, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებიან. განსაკუთრებით ეს იოვიჩს ეხება, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა და შესაძლოა ის აინტრახტში დაბრუნდეს.

რაც შეეხება ისკოს, მისი რეალიდან წასვლაზე დიდი ხანია საუბრობენ, თუმცა ის ჯერჯერობით კვლავინდებურად სამეფო გუნდშია.

მის სახელს ყველაზე მეტად იუვენტუსს უკავშირებენ.

## პსჟ-მ შესაძლოა დიბალა იყიდოს



პსჟ ახალი ტრანსფერების განხორციელებას აპირებს და მისი ერთ-ერთი ახალი სამიზნე პაულო დიბალაა, რომელიც იუვენტუსიდან წასვლას აპირებს და დიდი ალბათობით სეზონის ბოლოს ის გუნდს დატოვებს.

პსჟ მზად არის, დიბალას ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს, თუმცა თანხის ოდენობა ზუსტად არ სახელდება.

პარიზელებს ახალი მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო ჰყავთ, რომელიც რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს.

## მესი: „ასეთი მოგება გვჭირდებოდა“

ბარსელონას კაპიტანმა ლიონელ მესიმ გრანადასთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას ასეთი გამარჯვებები სჭირდება და ეს მოგება, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის კარგი:




– მთელი მატჩის მანძილზე მეტოქეს თითქმის შანსი არ მივეცით და გუნდმა იდეალური შეხვედრა ჩაატარა. ასეთი მატჩების მოგება ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მომავალ შეხვედრებში მოედანზე მეტი თავდაჯერებულობა გვექნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

მიწვეული თამადა იუბილარს ადღეგრძელებს:

– გისურვებთ, რომ ას წლამდე იცოცხლოთ.

– კი მაგრამ, მე დღეს შემისრულდა ასი წელი.

– მართლა? მაშინ, ბედნიერ დღეს გისურვებთ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ გაატარე ახალი წლის ღამე. ადრინდელივით საცივში თავჩარგული ჩაგეძინა?

– არა, ტორტში.

– ოჰოო, პროგრესია, ტკბილეულამდე მიგიღწევია.

•••

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, მამიკოს თავზე თმები რატომ არ აქვს?

– იმიტომ, რომ ჭკვიანია და ბევრს ფიქრობს.

– და შენ რატომ გაქვს ასე ბევრი თმები?

– გაჩუმდი და ჭამე!!!

•••

პატარა ბიჭი და გოგონა ეზოში თოვლის კაცს აკეთებენ. ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მე სახლში გავიქცევი და სტაფილოს მოვიტან.

– ორი ცალი წამოიღე, ცხვირიც გავუკეთოთ.

•••

გვიან ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს. ქმარი ეკითხება:

– რა მოხდა?

– არაფერი. უბრალოდ არ მესმის, როგორ შეგიძლია ასე მშვიდად ძილი, ასეთი პატარა შემოსავლის პირობებში...

•••

მასპინძელი სტუმარს აცილებს და კიბეზე ჩამავალს ეკითხება:

– კიბეები გაგინათოთ?

– არ მინდა, გმადლობთ, უკვე ძირს ვაგდივარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქეთევან კიკნაძე გაზრდილ გადასახადს აპროტესტებს



მსახიობი ქეთევან კიკნაძე ელექტროენერგიაზე გაზრდილ გადასახადს აპროტესტებს:

– რა ხდება ამ ელექტროობაზე, მომდიოდა გადასახადი 40 ლარამდე, ეხლა მოვიდა 82 ლარი. თუ ძმრად ამოგვადენენ, მაგათ ჰქონდეთ ეგ „იოლოჩკები“, ჩვენ ვიხდით ქუჩის განათების ფულს, არ გვინდა, ბატონო, ხეების მორთვა, დაიდგან თავიანთ ეზოებში, დიდი მადლობა.

## ნინო ანანიაშვილს ნოვოსიბირსკის თეატრმა კონტრაქტი შეუჩერა



ქართველ პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილს ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი შეუჩერა. ნინო ანანიაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნოვოსიბირსკის თეატრის საბალეტო დასს უხელმძღვანელებდა და იანვრის ბოლოს რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო. ამასთან ერთად, ბალერინა ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელადაც დარჩებოდა.

ამ ინფორმაციის გაჟღერებას ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა – საზოგადოების ნაწილმა ბალერინა გალანძღა, მოღალატე და რუსეთუმე უწოდა, ნაწილმა კი გადაწყვეტილება მოუწონა.

პრესაში ინფორმაციის წინასწარ გაჟღერებით უკმაყოფილო დარჩა ნოვოსიბირსკის თეატრის ხელმძღვანელობა და ნინო ანანიაშვილს კონტრაქტი შეუჩერა. მიზეზად კი დაასახელა ინფორმაციის დასთან შეხვედრამდე გათქმა და ამას მოცეკვავეების უპატივცემულობა უწოდა.

– თეატრის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საბალეტო დასის ხელმძღვანელის ვინაობის გამხელა მის ოფიციალურ წარდგენამდე დასის წევრების მიმართ უდიდესი უპატივცემულობაა. ჩვენ იძულებული გავხდით, შეგვეჩერებინა კონტრაქტი მანამ, სანამ პრესაში ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი საბოლოოდ არ იქნება განხილული, – განუცხადა რუსულ პრესას ნოვოსიბირსკის თეატრის ხელმძღვანელობამ.

ნინო ანანიაშვილს რუსეთში იანვრის შუა რიცხვებში ელოდებიან, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვლადიმერ კეხმანი ნინო ანანიაშვილს შეხვდება.

## გიორგი ჯაჯანიძე: „მადლობა იმ დამოკიდებულებისთვის, რაც ჩემ მიმართ გაგაჩნიათ“

ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი გიორგი ჯაჯანიძე მადლობას უხდის ყველას, ვისაც უყვარს და აბედნიერებს:

– მე მაქვს მიზეზი, რომ ვიყო ბედნიერი.

მე მაქვს მიზეზი, რომ მიყვარდეს ადამიანები, განურჩევლად ერისა, სქესისა, სტატუსია, მორალისა, მიუღებლობისა და უთანხმოებისა.

მე მაქვს მიზეზი, ყველას ყველაფერი ვაპატიო, პირფერობა, ღალატი, ტყუილი, ლანძღვა, გინება, ბოროტება და კიდევ ბევრი რამ. ამას თამამად ვამბობ, იმიტომ, რომ ეს გამიკეთებია.

ისინი ახლა ამ ტექსტს კითხულობენ და მე მათ ვუყვარვარ.

მძაფრად გავიაზრე, რომ დედამიწაზე მყოფ სულიერის და უსულოს არსებობა განგებამ დაუშვა და ჩემს პროტესტს არც მნიშვნელობა და არც აზრი არ აქვს.



მე დავიბადე ასეთი, ბედნიერების და სიხარულის განცდით.

ამაში დამეთანხმებიან ის ადამიანები, ვინც ცუდი გამიკეთა, მე მათ სიყვარულით ვუპასუხე და ვაპატიე, გვერდში დაუდექი, როცა გაუჭირდათ.

გავიაზრე და მივიღე, რომ ყველას ვერ ვეყვარები, ყველასათვის მისაღები ვერ ვიქნები, ეს არის ჩემი და მათი ხვედრი.

უკვირთ ჩემს ახლობლებს, რატომ არ მაქვს ჩემს დაბადების დღეზე განსაკუთრებული განცდა.

არ მახსოვს, როდის გავიაზრე სიცოცხლის მძაფრი სიყვარული, მის შემდეგ დავრწმუნდი, ყოველი დღის გათენებისას ვიბადები და ყოველი დღე ჩემთვის განსაკუთრებულია.

მადლობა სიცოცხლისათვის.

მადლობა იმ დამოკიდებულებისთვის, რაც ჩემ მიმართ გაგაჩნიათ.

მე ჩემი თავი ამ ქვეყანაზე შევაფასე.

ასე მგონია, როცა იმ ქვეყნად წავალ, ჩემი ბედნიერების და სიყვარულის განცდა შემაფასებს.

მიყვარხართ. მეიმედებით ყველა, მტერიც და მოყვარეც.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 11 იანვრისათვის

**ვერძი** – ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** – ძალზე ფრთხილად იყავით ფინანსური ოპერაციებისას. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – დღეს ნუ იაქტიურებთ. მშვიდად და თავმდაბლად იმუშავეთ. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** – თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **ღრიანკალი** – ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ნებისმიერი ინიციატივა წარუმატებელი იქნება. **მერწყული** – წადით მივლინებაში, სამოგზაუროდ, დაისვენეთ და გაერთეთ ბუნების წიაღში. **თევზები** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. გარეული ტყის ქათამი; 4. კომბინაცია პოკერში; 5. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში ბინადარი დიდი მტაცებელი ფრინველი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 14. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავენ რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციებს; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. აშშ-ის პრეზიდენტი; 9. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 15. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული ჟურნალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

